# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 5 იანვარი, 2010 წელი.

№ 1 (6367)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ლაყუჩში ჩარჩენილი ანკესი



საერთოდ ცნობილია, და ეს არაერთგზის მითქვამს, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ისტორია ძალიან ცუდად იცის და რაც იცის, იმასაც ისე ჭრის და კერავს, როგორც მოეპრიანება, თანაც, საჭიროა თუ არა, უმალ იშიშვლებს ხოლმე „აზრის განსამტკიცებლად“ და ამ „ისტორიული საწებელით“ ასევე უმალ აოგნებს მსმენელს, თქმულს კი აშარჟებს.

③

**პრეზიდენტის დაუსაბუთებელი მტკიცებანი**



## სრულიად საქართველოსა და მსოფლიო სულების პატრიარქო!

მსოფლიო დივა მონსერატ კაბალიე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ესპანეთიდან დაბადების დღეს ულოცავს

②

## ⑤ მოგებულ-წაგებულები



## მოუცლელი პოლიტიკოსები და მოცლილი ჟურნალისტი

④ როგორი განწყობით შეხვდნენ ლეიბორისტები ახალ წელს?

## მე არ მინდა აფხაზეთი!

④



## სადმე ყრუ ადგილს ② დავესახლები...

## ქვევრში გაჭედილი ⑨ ქართული დემოკრატია

## რა ელის დედამიწას უახლოეს წლებში?

⑦





## სანტა, მიირთვი ⑪ პანტა და აუსვი აქედან!..

## გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღე იყო

# მრევლმა მიულოცა

4 იანვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღე იყო. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 77 წლის იუბილე აღნიშნა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის დაბადების დღის მილოცვა მრევლს გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში შეეძლო.

როგორც საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ვინაიდან მრევლს დიდი სურვილი ჰქონდა პირადად მიელოცა პატრიარქისთვის დაბადების დღე, ამის საშუალება მათ მიეცათ სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც მისმა უწმინდესობამ, სამღვდელოებასთან ერთად გუშინ, პარაკლისი გადაიხადა და მრევლი დალოცა.


ილია II და მონსერატ კაბალიე საპატრიარქოში

ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა.

1952 წელს, ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1957 წლის 16 აპრილს სასულიერო აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი ილია მეორე საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცეს და სახელად ილია უწოდეს. 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით.

1963 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის მიერ არქიმანდრიტი ილია ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს, 1967 წელს კი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ორი წლის შემდეგ ილია მეორე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. ილია მეორემ სოხუმში 11 წელი დაჰყო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ კი, 1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ილია მეორე კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა.

# სრულიად საქართველოსა და მსოფლიო სულების პატრიარქო!

### მსოფლიო დივა მონსერატ კაბალიე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ესპანეთიდან დაბადების დღეს ულოცავს

თქვენო უწმიდესობავ, სრულიად საქართველოსა და მსოფლიო სულების პატრიარქო, ნება მიბოძეთ ასე მოგმართოთ, გილოცავთ და მრავალს დაესწარით, რათა მრავალჯერ შეგვეძლოს თქვენთვის დაბადების დღის მოლოცვა.

თქვენო უწმიდესობავ, უპირველესად, დიდი მადლობა საქველმოქმედო ფონდ „იავნანა-არტ"-ის დალოცვისათვის, რომელიც პაატა ბურჭულაძესთან ერთად დავაარსე, მე მეამაყება, რომ „იავნანას" წევრი ვარ და ვიმედოვნებ, ეს ქართულ-ევროპული ფონდი მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც ქართველ, ასევე მსოფლიო ბავშვებს. სამწუხაროა, რომ ომები ჯერ კიდევ ხდება მსოფლიოში და ის განსაკუთრებულად აღარიბებს ქვეყანას. თქვენ ალბათ, ყველაზე უკეთ ხედავთ, რომ ბევრად მეტნი არიან ის ადამიანები, ვისაც დახმარება სჭირდება და საქველმოქმედო ორგანიზაციები კი არ არის საკმარისი.

თქვენო უწმიდესობავ, ჩემი უდიდესი პატივისცემა და მოწიწება მინდა გამოვხატო თქვენდამი. ხატი, რომელიც წმინდა სამების ტაძარში გადმომეცით, ჩემს ოთახში ბრძანდება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაგიხადოთ მეგობრობისთვის. მინდა იცოდეთ, რომ ნებისმიერ დროს, როცა კი დაგჭირდებით, ჩემი სახით თქვენ და მთელს თქვენს ქვეყანას გყავთ ადამიანი, რომელიც ყოველთვის გვერდით დაგიდგებათ. მინდა საქართველოს სიყვარული და მშვიდობა ვუსურვო 2010 წელს!

**მონსერატ კაბალიე**
ბარსელონა, 2009 წლის 26 დეკემბერი.

## წლიდან-წლამდე

# სადმე ყრუ ადგილს დავესახლები...

**საქართველოს მოსახლეობამ გასულ კვირაში ყანწების ტრიალით გავაცილეთ ძველი წელიწადი და თოფების გრიალით შემოვაცილეთ ახალი.**

**დავდივარ ნაციონალური შუქით გაჩახჩახებულ თბილისის ქუჩებში, ვუსმენ და ვუყურებ სახელისუფლო ტელეარხებზე ბედნიერების ღიმილდაფრქვეულ უზრუნველ სახეებს და მინდა მთელი ხმით ვიყვირო — წამიყვანეთ, წამიყვანეთ ბედნიერ საქართველოში!**

**ეს სურვილი პრეზიდენტ სააკაშვილის ზუგდიდსა და ბათუმში წინასაახალწლო გამოსვლებმაც გამიასკეცა — ვიცოდი, საქართველო თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების სიაში რომ ეწერა, მაგრამ თუ ასეთი ბაჯაღლო იყო, ნამდვილად არ მეგონა.**

თვითონ არ მახსოვს და უფროს თაობაშიც ვერავინ გაიხსენა, ბოლოს როდის დავიწყეთ საკალანდო მზადება კალანდამდე ორი თვით ადრე. თუმცა, ჩვენ ხომ სტერეოტიპებს ვამსხვრევთ, თანაც, გვინდა მსოფლიოს დავანახოთ, რომ ზეიმს, ქეიფს და ცეკვა-თამაშს ვერაფერი და ვერავინ მოგვაშლევინებს, თუნდაც შიმშილით სული გვძვრებოდეს და საქართველოს ტერიტორიები მხოლოდ მუხრანის ბოლოდან რუისბოლომდე ვრცელდებოდეს!

პრეზიდენტის წინასაახალწლო გამოსვლებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მას საკუთარი ხალხი დაუნიზმის უკურნებელი სენით შეპყრობილი ჰგონია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ზუგდიდელების წინაშე გამოსვლა. კერძოდ, მისი ყოვლად უკბილო ანგლობა მეგრელი თოვლის ბაბუისა და ვეფხვის წელიწადის თაობაზე.

— ჩვენო, — ბრძანა პრეზიდენტმა,—ნახტომისთვის გამზადებული ვეფხვის წელიწადში შევედით და იგი ამ ნახტომს აუცილებლად გააკეთებს. დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გააკეთებსო.

მოკლედ, პრეზიდენტმა, როგორც ყოველთვის, „ჰოპლა" უკვე დაიძახა და ახლა, გადახტომაღა დაგვრჩენია.

დიდი მისნობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის გამოცნობას, რომ ბატონი პრეზიდენტი ამ „გადახტომაში", არც მეტი არც ნაკლები, რუსეთის დაშლა-დანაწევრებას და, საბოლოოდ, პირისაგან მიწისა მის აღგვას გულისხმობს. გასული წლის მიწურულს ეგრეთ წოდებული „საერთო კავკასიური ტელევიზიის" იდეის წამოყენებით ერთი „გიგანტური" ნაბიჯი აქეთკენ უკვე გადაიდგა — ამით სააკაშვილი რუსეთის შიგნიდან „აფეთქებას" აპირებს. მეორე და გადამწყვეტი ნაბიჯი, როგორც თვითონვე ბრძანა, იქნება საქართველოში ნახევარმილიონიანი არმიის შექმნა და რუსეთის ოკუპაცია (ტოჟე მნე ალექსანდრ მაკედონსკი!ძ.

ყველაფერი ეს, „გაბრწყინებულ საქართველოზე" გაუთავებელი ლაყბობის ჩათვლით, არასერიოზულობად და ბავშვურ აკვიატებად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ სად არის გარანტია, რომ იუმორს მოკლებული კრემლის პატრონებიც ასე იფიქრებენ?! ან, იქნებ, სააკაშვილს და მის ბრძენ მრჩევლებს ჰგონიათ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხობში და წალენჯიხაში ნათქვამ-ნაქნარებს კრემლში არ ისმენენ და არ ხედავენ!—ისმენენ კიდეც, ხედავენ კიდეც და, კრემლის ტერმინოლოგიით, „ადეკვატურ ზომებსაც" ერთობ ოპერატიულად იღებენ. რუსული „ადეკვატური ზომების" სისასტიკე ჩვენ სულ ახლახანს, 2008 წლის აგვისტოში, საკუთარ თავზე უკვე ვიწვნიეთ.

დიახ, ხელისუფლების ინიციატივით, მონდომებით და ბიუჯეტის ფულით ღატაკთა და უქონელთა ნახევარქვეყანაში მართლაც უმაგალითო, ავადმყოფური ზარ-ზეიმით და ფეიერვერკებით შევეგებეთ ახალ წელიწადს, „ჰალვა, ჰალვაც" ბევრი ვიძახეთ, მაგრამ ამით ჯიბე-უბე ფოჩიანი კანფეტებით არ აგვივსებია. შეღავათი არც იმით მოგვეცემა, ტყავი რომ გავიძროთ და იმაში აღებული ფულით ყოველ კვირა ბათუმში, ხონში, თუ ამბროლაურში მსოფლიო საოპერო ვარსკვლავების მონაწილეობით გამართული გრანდიოზული ტაშფანდურებით თავი მოვიტყუოთ.

სხვათა შორის, დიდად საამაყო არც ვარსკვლავების სტუმრობაა — თუ დიდ ფულს გადაუხდი, საქართველოში სამღერლად ხოსე კარერასი კი არა, თვით ფიდელ კასტროც სიამოვნებით ჩამოვა!

სააკაშვილმა ბათუმში კიდევ ერთი საგულისხმო რამ ბრძანა: როგორც მოციგურავე გედევანიშვილს დავპირდი, ბათუმში საციგურაო დარბაზს ავაშენებო. მაგის ამბავი რომ ვიცი, ააშენებს კიდეც (ჩვენი ფულით, რასაკვირველია!ძ.

ვინაიდან ბატონი პრეზიდენტი თვითონ გაზეთს არ კითხულობს, უმორჩილესად გთხოვთ, იქნებ ვინმემ წაუკითხოთ ან უჩურჩულოთ მაინც, რომ პირდაპირი გაგებით, მზიურ საქართველოში ყინულის დარბაზების აგება, რბილად რომ ვთქვათ, დიდი შეცდომაა. გაცილებით იაფი, სასარგებლო და მომგებიანი იქნება, მაგალითად, რაგბის და ფეხბურთის სტადიონების, ველოტრეკის, ღია და დახურული საცურაო აუზების, საჭიდაო და საფარიკაო დარბაზების მშენებლობა; სპეციალიზებული სპორტული სკოლების აღდგენა და ბიუჯეტიდან მათი დაფინანსება. თუ მაინცადამაინც გედევანიშვილის პატივისცემა უნდა, არც ესაა გადაუჭრელი პრობლემა — „ელენე გედევანიშვილის საფარიკაო დარბაზი" — ძალიანაც მომხიბლავად ჟღერს!

ეჰ, რომ შემეძლოს, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს ვთხოვდი, ჩვენი მიხაილ ნიკალაევიჩი დაენიშნა, ვთქვათ, კამჩატკის გუბერნატორად — სივრცეები უყვარს, მოგზაურობა უყვარს, ყინული უყვარს, ქალები უყვარს და თვითონ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინისადმიც, მგონი, მთლად გულგრილი არ უნდა იყოს! თანაც, ამერიკასთანაც ახლოს იქნება.

მართალია, სააკაშვილს პრინციპულად არ სწყალობს შალვა ნათელაშვილი, მაგრამ ძველებურად სწყალობს იუნონა, წვიმის ქალღმერთი — ახალწლის დღეებში მთელ საქართველოში უჩვეულოდ მზიანი დარი იდგა. ალბათ, რიტუალების მოტრფიალე მიშა მის სახელზე ყოველ გაზაფხულს მსხვერპლად თეთრ ძროხას თუ სწირავს.

თავდავიწყებული საახალწლო ზეიმების ფონზე, პრეზიდენტის სტუმრობით მთვრალ ბედნიერ ზუგდიდში ადგილობრივი ხელისუფლებისგან ვიღაც ჟურნალისტის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მერე მისივე გასამართლება, აბა, რა სახსენებელია!

გასულ კვირაში, 30 დეკემბერს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავჯდომარემ ნიკა გილაურმა ერთი შეხედვით სენსაციური განცხადება გააკეთა: დღეიდან გაუქმებულია ეკონომიკის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახური!



რომ ვთქვა, ამ ამბავმა ძალიან დამამწუხრა-მეთქი, აშკარად ვიცრუებ — ახია მაგაზე — რაც დათესა, ის მოიმკო. შეგახსენებთ, რომ ეს ის სამსახურია, ვის სახელსაც უკავშირდება კერძო საკუთრების გაუგონარი რბევა „ვარდების რევოლუციის" გარიჟრაჟიდან მოყოლებული. სწორედ ამ სამსახურის ხელით დაარბიეს და ოფისებიდან უზოდიშოდ გამოყარეს ჟურნალისტები 2007 წლის აგვისტოში. თუმცა, მოდი, ისიც ვთქვათ, რომ ავადსახსენებელი ზედამხედველობის სამსახური იყო მხოლოდ ნების მექანიკური აღმსრულებელი, ხორცსაკეპი მანქანა, რომელიც მოძრაობაში პირადად მიხეილ სააკაშვილს მოჰყავდა.

ახლა პრემიერ მინისტრის პირით გვეუბნებიან, რომ, თურმე იგი მეძრთამეების ბუდედ ქცეული ხორცმეტი ყოფილა.

პრემიერის ომახიანი განცხადება ნიშნავს, რომ ამ მართლაც ანტისაზოგადოებრივმა და ანტისახელმწიფო რეპრესიულმა აპარატმა თავისი მისია ამოწურა და არენიდან უნდა გავიდეს. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ ბატონი ვანო მერაბიშვილი ვეღარ აიტანს მისი სტრუქტურის გარეთ არსებულ მონათესავე ფუნქციებით აღჭურვილ სტრუქტურას, თუნდაც განუზომლად უფრო სუსტს.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის რაიმე ლიბერალიზაციაზე მსჯელობა დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა. პირიქით, ამ სამსახურის ლიკვიდაციით, დასრულდა ქართულ ბიზნესზე მერაბიშვილის სრული კონტროლის დამყარების პროცესი. სანამ ბიზნესმენები ტაშს შემოჰკრავდეთ, ესეც გაითვალისწინეთ.

თუ ყმაწვილი გილაური ამდენს ვერ ხვდება, სასწრაფოდ უნდა გაემგზავროს უცხოეთში სასწავლებლად. თუ ხვდება, მისი წინამორბედივით, სასწრაფოდ გაამგზავრებენ უცხოეთში სამკურნალოდ. სწავლების და მკურნალობის ხარჯებზე და ხარისხზე, ბუნებრივია, ბატონი ვანო მერაბიშვილი იზრუნებს...

რა მართალი იყავ, დიდო გალაქტიონ, რომ ამბობდი:

**„სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ — ადამიანი..."**

**თეიმურაზ ძორიძე**
05. 01. 09.

საპრეზიდენტო დაუსაბუთებელი მტკიცებანი

# ლაყუჩში ჩარჩენილი ანკესი



თუმცა ახალი წელი, როგორც წესი, ძველის ალი-კვალია ხოლმე, ადამიანისთვის დამახასიათებელი გამოუსწორებელი და უსაფუძვლო ოპტიმიზმის წყალობით მაინც ბადებს უკეთესის იმედს.

ეს გიკარნახებს ფხიზლად და საღად შეაფასო გუშინდელი, რათა მეტნაკლებად გამჭვირვალედ დაინახო ხვალინდელი.

ამჯერად დეკემბრის ბოლო დეკადის დამზაფრავი მოვლენები მაქვს მხედველობაში.

ახლა, როცა პირველი დღეების ვნებათაღელვა, ასე თუ ისე, შენელდა და ყრუ ტკივილად გამოგვყვედო გულში, როგორც ძუიდან გამსხლტარ თევზს ლაყუჩში ჩარჩენილი ანკესი, კვლავაც მწვავედ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ის, რაც მოხდა – რატომ დაანგრევინა დიდებული დიდების მემორიალი პრეზიდენტმა ქუთაისში, რატომ ასე მძვინვარედ ამოიჭრა მისი იავარქმნის სურვილი და ფეხებზე დაიკიდა ლამის მთელი საქართველოს პროტესტი?

მართლაც, ხომ უნდა ჰქონდეს რაიმე გონივრული ახსნა იმ წარმოუდგენლად ბარბაროსულ აქტს, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს ფანატიკოსი თალიბების მიერ ავღანეთში კლდეში გამოკვეთილი ბუდას ქანდაკების ტყვიამფრქვევებით იავარქმნას, რამაც გააოგნა მსოფლიო.

ზრდილობისთვის ხომ მაინც უნდა განემარტა ამ დაბეჩავებული ხალხისთვის, რომელმა კოღო ანაფელისმა დაასნებოვნა ამ უკეთური აზრით და მანამ არ მოასვენა, სანამ ლაღუმის ფითილზე ცეცხლი არ მოაკიდებინა და სართად ორი სიცოცხლეც შეაწირინა მოლოქისთვის.

და აი, ბატონმა პრეზიდენტმა პირველად დაასველა ენა 19 დეკემბრის ამბავზე.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე ჩემთვისო, გულმდუღარედ განაცხადა 25 დეკემბერს „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში და ტელეეკრანს მიციებულ მოქალაქეებს იმედი ჩაგვისახა, ახლა იტყვის ყველაფერს და ყველას, ვინც ეს უკეთური იდეა მიაწოდა ჩვენდა და მისდა ჭირად, დედას უტირებსო.

მაგრამ პრეზიდენტმა, როგორც იტყვიან, ხვლიკის კუდი გამოგვავლო პირში. მხოლოდ ხელმოცარული ამფეთქებლები ჰყოლია მხედველობაში და ცოცხალი თავით არ გაამხილა, რა იოანე ზოსიმესეული დიდი ეროვნული საიდუმლო ედო საფუძვლად მერაბ ბერძენიშვილის უმშვენიერესი ნახელავის განადგურებას.

რაც მოხდა, მოხდა ადამიანური უგუნურობით, არაკომპეტენტურობისა და დაუდევრობის გამო, ყველამ უნდა აგოს ამისთვის პასუხი. იმედი მაქვს, მათ ბოლომდე განსჯიან და მე ვიძლევი გარანტიას, რომ ვიდრე პრეზიდენტი ვარ, მათ არ შევიწყალებ, ვინაიდან ყველაფერს აქვს საზღვარიო, კუშტად დაემუქრა ვიღაც უმისამართოებსა და უგვარსახელოებს (ოღონდ, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი არ უგულისხმია) და საზოგადოება დამნაშავეთა თავების დაყრევინებისთვის შეამზადა.

ტელეეკრანებთან ატმოსფერო საშიშად შედედდა.

ოჯახის მამებმა ბავშვები და ფეხმძიმე ქალები იქაურობას გაარიდეს.

მაგრამ...

მაგრამ ბატონმა მიხეილმა მოულოდნელად მრისხანე და საშიში „მხილება“ შეწყვიტა და ჩვეულებისამებრ ყველა ბოროტების სათავეს – რუსეთს მიეტანა სარქენად.

მაგრამ ამ დროს, სტრიქონებს შორის, ავტორის სურვილის გაუთვალისწინებლად, ზოგადად და კონკრეტულად გამოიკვეთა ქუთაისის დიდების მემორიალისადმი მისი ასეთი გააფთრებული სიძულვილის თავი და ბოლო: – „რუსები არიან ჩვენი ქვეყნის ოკუპანტები და გვეუბნებიან, მოეშვით საბჭოთა არმიის დიდების ძეგლს, არმიისა, რომლის სამართალმემკვიდრეც გახლავთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ოკუპანტები. მეტი დაცინვა რა უნდა იყოს?“

ნათქვამისა და საქმის არსიდან გამომდინარე ასეთი ლოგიკური შეკითხვის შემდეგ, პრეზიდენტმა გაოცება გამოთქვა, როგორ თუ რუსეთმა მწვავე რეაგირება მოახდინა ქუთაისში დიდების მემორიალის ნგრევაზე, მაშინ როცა ყურიც არ გაუპარტყუნებია აფხაზეთში იმ დასახელებული პუნქტის სახელის გამოცვლაზე, რომელიც მას ეწოდებოდა მეორე მსოფლიო ომში ერთადერთი ქართველი გენერლის ლესელიძის პატივსაცემად, სათავეში რომ ედგა ქერჩის კორპუსსო. თან განმარტა, გერმანელები საქართველოში იმიტომ ვერ შემოვიდნენ, რომ ვერ გაარღვიეს ფრონტი ქერჩში, რომლის მთავარი დამცველი ქართველი კორპუსი იყოო.

პრეზიდენტის ამ ღრმა ნააზრევს დედუქციურ მეთოდს თუ მივუყენებთ, ასეთი იკლიკანტური რამ გამოვა: რაკიდა რუსი ოკუპანტები საბჭოთა არმიის სამართალმემკვიდრეები არიან, დიდების ძეგლები (და, შესაბამისად, ომში დაღუპული 300 ათასი ქართველის ხსოვნა) ბოლოკივით უნდა მოვთხაროთ, მით უფრო, რომ რუსებმა აფხაზ სეპარატისტებს ცხვირ-პირი არ დაუნაყეს, როცა მათ დაბა ლესელიძეს სახელი გადაარქვესო.

ხმალივით მოქნეული არგუმენტია, ვერაფერს იტყვი!

ამრიგად, აქამდე უცნობი არქიმედის ბერკეტი ქუთაისური ნგრევა-აფეთქებისა, სახეზეა!

ახლა სხვა საპრეზიდენტო პოსტულატზე.

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ბატონი მიხეილის ზემოთ მოხმობილ ისტორიულ წიაღსვლაში რამდენი წინადადებაც არის, იმდენი უხეში და მიუტევებელი შეცდომაა.

საერთოდ ცნობილია, და ეს არაერთგზის მითქვამს, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ისტორია ძალიან ცუდად იცის და რაც იცის, იმასაც ისე ჭრის და კერავს, როგორც მოეპრიანება, თანაც, საჭიროა თუ არა, უმალ იშიშვლებს ხოლმე „აზრის განსამტკიცებლად“ და, ამ „ისტორიული საწებელით“ ასევე უმალ აოგნებს მსმენელს, თქმულს კი აშარჟებს.

ისტორია, გარეგნული „მეზღაპრეობის“ მიუხედავად, მოგეხსენებათ, ზუსტი მეცნიერებაა, ასე წაღმა-უკუღმა ჭრა-კერვას ვერ ჰგუობს, სიმართლე 3 ათასი წლის შემდეგაც კი იჩენს თავს.

კონკრეტულ მაგალითს შეგახსენებთ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1296 წელს ეგვიპტის დიდმა ფარაონმა რამზეს მეორემ ქალაქ კადეშთან სასტიკად დაამარცხა ხეთების ჯარი. მის ამ საარაკო გმირობას ეგვიპტელმა ხელოვნებმა უზომო ხოტბა შეასხეს ლუქსორის, კარნაკის, აბუ სიმბელისა და სხვა ტაძრების წარწერებსა და ბარელიეფებში.

მაგრამ სიმართლემ 33 საუკუნის შემდეგ მაინც გამოიჭიატა: რამზესის მიერ შთაგონებული დიადი გამარჯვების ქრონიკა ისტორიის სამარცხვინო ფალსიფიკაცია ყოფილა: მან ომი კი არ მოიგო, არამედ წააგო, „გამარჯვება“ ოდენ პროპაგანდისტული სიყალბის შედეგი გახლდათ. დაახლოებით ისეთი, 2008 წლის აგვისტოს ომში რომ „გავიმარჯვეთ“ და „გამარჯვება“ ვიზეიმეთ კიდეც, ჩვენი საყვარელი მსახიობის გურამ საღარაძის თავდაუზოგავი დირიჟორობით...

მაგრამ ისევ გადმოვუხვიოთ.

ბატონი მიხეილი ბრძანებს, ლესელიძე მეორე მსოფლიო ომში ერთადერთი ქართველი გენერალი იყოო.

არცოდნა არცოდვააო, ნათქვამია, მაგრამ ასეთი არცოდნა არცოდვა კი არა, უბრალოდ, დანაშაულია, მით უფრო სახელმწიფოს მეთაურისგან, რომელსაც განათლება, თუნდაც ნაკლული, ოკეანის გაღმა-გამოღმა აქვს მიღებული და ამას ყოველ მოხერხებულ თუ უხერხულ დროს შეგვახსენებს ხოლმე.

დიდი ბოდიშის მოხდით განვუმარტავ საქართველოს ლიდერს, რომ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში (ასე ჰქვია ოფიციალურად და ამჟამინდელი ქვეყნის ტვინმა „თავისუფლების ინსტიტუტმა“ თუნდაც გაყაყებისა და თაგვების ომი უწოდოს!) ჩვენი თანამემამულე 82 გენერალი და ადმირალი, 23 ათასი ოფიცერი და 700 ათასამდე ჯარისკაცი (მათგან 300 ათასი შინ ვეღარ დაბრუნდა) მონაწილეობდა. საქართველომ ომში გამოიყვანა მოსახლეობის (მაშინდელი 3,8 მილიონი მცხოვრების) 18 პროცენტზე მეტი, მათ შორის პრეზიდენტის დიდი ბებიის ძმაც, რომლის ომში მონაწილეობაც ამაყად გვამცნო ბატონმა მიხეილმა.

ბუნებრივია, იმ რვა ათეულზე მეტი თანამემამულე გენერლიდან ყველა ქართველი არ ყოფილა. იყვნენ ჩვენებური რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ებრაელები, ოსები და ა. შ.

თუმცა რაკიდა „ომის მონაწილე ერთადერთ ქართველ გენერალზეა“ ლაპარაკი, დავაზუსტებ, რომ იმ 82 გენერლიდან „თავანკარა“ ქართველი იყო 54 მხედართმთავარი, თანაც მათ შორის არ ვანგარიშობ ქართველ გენერალისიმუსს სტალინს და საბჭოთა კავშირის მარშალს ბერიას.

კიდევ უფრო დავწურავ ამ სიას და გამოვაკლებ 23 უშიშროების სამსახურის გენერალს, რომელთა შორისაც, კაცმა რომ თქვას, ერთი საბჭოთა კავშირის მარშალი, ერთი გენერალ-პოლკოვნიკი და 10 გენერალ-ლეიტენანტი იყო.

ამრიგად რჩება 31 ნაღდი, როგორც ილიას „მგზავრის წერილების“ რუსი აფიცერი იტყოდა, ულვაშიანი გენერალი. მათგან ორი – კონსტანტინე ლესელიძე და პორფილე ჩანჩიბაძე გენერალ-პოლკოვნიკები იყვნენ, არმიებს(!) მეთაურობდნენ (ლესელიძე – 46-ეს, 47-ეს, მე-18-ეს, ჩანჩიბაძე – მე-2 გვარდიულს), 12 გენერალ-ლეიტენანტი იყო, დანარჩენი – გენერალ-მაიორი. ისინი მეთაურობდნენ დივიზიებს, კორპუსებს, არმიათა შტაბებს.

ომის დროს ხუთი მათგანი – ერმალოზ კობერიძე, ვლადიმერ ნანეიშვილი, შალვა ქირია, პორფილე ჩანჩიბაძე, ვლადიმერ ჯანჯღავა (კონსტანტინე ლესელიძე – მოგვიანებით) საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა 4, ხოლო კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით – 5 ქართველი გენერალი.

ბოლოს ვიტყვი იმასაც, რომ პირველი საბჭოთა გენერლები იყვნენ პავლე აბრამიძე და ნესტორ ლაზაძე (შემდგომში – გენერალ-ლეიტენანტი), რომლებმაც ეს სამხედრო წოდება 1940 წლის 4 ივნისს მიიღეს.

ახლა იმაზე, „გერმანელები რომ საქართველოში ვერ შემოვიდნენ, რადგან ვერ გაარღვიეს ფრონტი ქერჩში, რომლის მთავარი დამცველი იყო ქართული კორპუსი“.

უპირველეს ყოვლისა, მინდა დავარწმუნო ბატონი პრეზიდენტი, რომ სამხედრო შენაერთი „ქართული კორპუსის“ სახელწოდებით ომის დროს (და რამდენადაც მახსოვს, არც მერე) არ არსებულა, მით უფრო ქერჩში, სადაც თავდაცვითი ბრძოლები მიმდინარეობდა 1942 წლის ზამთარში და გაზაფხულზე.

1941-1943 წლებში ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული შენაერთები: 224-ე, 242-ე, 394-ე, 392-ე, 406-ე, 276-ე, 349-ე, 414-ე, 296-ე მსროლელი დივიზიები. ომის დროს შეიქმნა აგრეთვე 25-ე, 51-ე, 95-ე, 366-ე, 388-ე მსროლელი დივიზიები და მე-7, 83-ე ქვეითი საზღვაო ბრიგადები, რომელთა პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენენ.

გენერალი ლესელიძე ერთ დროს კორპუსის მეთაური კი იყო, მაგრამ ის შენაერთი (46-ე არმიის მე-3 კორპუსი) არ ყოფილა პრეზიდენტის მიერ ნახსენები „ქერჩის კორპუსი“, ანუ „ქერჩის მთავარი დამცველი ქართული კორპუსი“, ლესელიძე იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ყირიმში.

ახლა თვით იმაზე, როგორ ვერ გაარღვიეს გერმანელებმა ფრონტი ქერჩში.

1942 წლის დამდეგს ყირიმის ფრონტმა დიდი მარცხი განიცადა. ეს ფრონტი გერმანელების მიერ დაკავებული ყირიმის განთავისუფლების მიზნით შეიქმნა და იცავდა ქერჩის ნახევარკუნძულს მის ყველაზე ვიწრო ნაწილში, ე. წ. აკ-მონაის პოზიციაზე. ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა 44-ე, 51-ე და 47-ე არმიები. სარდალი იყო გენერალ-ლეიტენანტი დ. კოზლოვი, თებერვალ-აპრილში ყირიმის ფრონტმა შავი ზღვის ფლოტის მხარდაჭერით სამჯერ სცადა შეტევაზე გადასვლა, მაგრამ ამოცანა ვერ შეასრულა და იძულებული იყო თავდაცვაზე გადასულიყო. 8 მაისს გერმანელებმა დაარტყეს ფრონტის სუსტ ზღვისპირა უბანს და გაარღვიეს საბჭოთა პოზიციები. ყირიმის ფრონტის დაცვა, რომელსაც არ ჰყავდა რეზერვები სიღრმეში, დეზორგანიზებული იყო: ჯარების მართვა დაიკარგა, აღმოსავლეთით დახევა უწესრიგოდ ხდებოდა, ყირიმის ნახევარკუნძული მთლიანად მტრის ხელში აღმოჩნდა.

მთელ ამ ეპოპეაში, რომელსაც ყირიმის დაცვა ეწოდება, ჩვენთვის განსაკუთრებით სამახსოვრო ის არის, რომ ქერჩთან 70 ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა.

ისე რომ, გერმანელებმა ქერჩთან ფრონტი გაარღვიეს კი არა, სულ წია-წია წაიღეს. რაც შეეხება იმას, მაშინვე რატომ არ შემოვიდნენ საქართველოში, ეს ვერმახტის სტრატეგიაშია საძიებელი.

როგორც ვხედავთ, ბატონმა მიხეილმა მეორე მსოფლიო ომის ეს წარუმატებელი ოპერაცია, მხოლოდ მისთვის ცნობილი წყაროების გამოწვლილვით გაანალიზების შემდეგ, წარმატებულად ცნო. რაც მთავარია, მიაკვლია ამ წარმატების მთავარ შემოქმედს – მითიურ „ქართულ კორპუსს“.

ბატონი მიხეილი დიდი სამამულო ომის (რომელიც „ქართველების ომი არ ყოფილა“) ისტორიის „შეკეთებას“ არ დასჯერდა, და ორიოდ დღის შემდეგ მოსალოდნელი ახალი ომი დაგვისურათხატა, ამჯერად საკუთრივ ჩვენი რომ იქნება და მარჯვედ უნდა ვიყოთ.

იხ. 4 გვ.

ოპოზიცია

*რა იყო მნიშვნელოვანი 2009 წელს და რას უნდა ველოდეთ 2010 წელში? — ასეთი მოკლე და კონკრეტული კითხვით გვინდოდა მიგვემართა ჩვენი ოპოზიციონერი ლიდერებისთვის. ალბათ, მკითხველისთვის წლის მოვლენების ოპოზიციურ ჭრილში შეჯამება უინტერესო არ იქნებოდა, მაგრამ...*

# მოუცლელი პოლიტიკოსები და მოცლილი ჟურნალისტი

## როგორი განწყობით შეხვდნენ ლეიბორისტები ახალ წელს?

მთელი დღე ოპოზიციის ოფისებში რეკვასა და პრესცენტრებთან „საქმის გარჩევას“ მოვანდომეთ.

ჩვენი რესპონდენტი ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** უნდა ყოფილიყო. მისი ოფისის სამდივნოში გვიპასუხეს, რომ დღის მეორე ნახევრამდე პრესცენტრში არავინ იქნებოდა. პრესცენტრთან დაკავშირების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ნინო დაკავებული იყო და კომენტარისთვის ვერ მოიცლიდა.

პარალელურად ვრეკავდით **ფორუმელების** ოფისში. ლიდერები ყველანი ადგილზე იყვნენ, მაგრამ არ იყო პრესცენტრი, რომელთან შეთანხმების გარეშე „უფროსობას“ კომენტარის გაკეთების უფლება არა აქვს. მაგდა პოპიაშვილს მობილურით დავუკავშირდით, მაგრამ მან „ქვა ქვაზე“ დაადუღა, შეხვედრებზე არიან და ხუთწუთიანი კომენტარისთვისაც კი ვერაფრით მოიცლიანო.

გულგატეხილმა ამის შემდეგ **„ალიანსი საქართველოსთვის“** ცნობილ წევრს ზურაბ აბაშიძეს დავურეკეთ, ვინაიდან ირაკლი ალასანიასთან ასე „შინაურულად“ სატელეფონო კავშირის დამყარება შეუძლებელია. ბატონი ზურაბი თურმე ბაკურიანში ყოფილა. რომ ვესაუბრეთ, სულს ძლივს ითქვამდა, ალბათ, თხილამურებზე თუ იდგა და დასრიალებდა. მან, რა თქმა უნდა, პრესცენტრთან გადაგვამისამართა...

**მემარჯვენეების** ოფისშიც არავინ დაგვხვდა. ყველანი საერთო შეკრებაზე გაკრეფილან. შეხვედრის ადგილის შესახებ არაფერი იცოდა პრესცენტრმა, არც მემარჯვენეებისა და არც რესპუბლიკელებისამ, რადგან ისინიც ამ საერთო შეკრებაზე იმყოფებოდნენ.

**რესპუბლიკელების** პრესცენტრთან შევთანხმდით, რომ დავით ზურაბიშვილთან შედგებოდა სატელეფონო ბლიც-ინტერვიუ. ათ წუთში უნდა დამერეკა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ზურაბიშვილის გასაქცევად. ის დიდხანს ეძებეს ოფისში, მაგრამ ვერ მიაგნეს.

რომ იტყვიან, დიდხანს ვიარეთ, ვიარეთ ქართული ზღაპრის გმირებივით, ბოლოს **ლეიბორისტებს** მივადექით. აგაშენა ღმერთმა, ძლივს არ ამოვისუნთქეთ... პრესცენტრმა შეწუხებულმა გვითხრა, რომ შალვა ნათელაშვილი შეხვედრაზე იმყოფებოდა, მაგრამ არა უშავს, ახლავე გადაგრთავთ გიორგი გუგავასთან და კომენტარს არ დაგზარდებათო.

აი, როგორ აფასებენ ლეიბორისტები ძველ წელს. **გიორგი გუგავა: როგორც ვხედავთ ყოველი დღე და ყოველი წუთი სააკაშვილის რეჟიმის პირობებში**



**უამრავი უბედურების მომტანია. ამით ნამდვილად გამორჩეული იყო 2009 წელი, რომელთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს.**

**გაზაფხულის აქციებმა თვალნათლივ გამოაჩინა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ქართველი ხალხი ტაქტიკურად მობილიზებული იყო ხელისუფლების სრული დემონტაჟისთვის. განსაკუთრებით 26 მაისს სტადიონზე შეკრებილმა საზოგადოებამ გამოაჩინა ერის ურყევი ნება — გადაარჩინოს თავისი მომავალი. სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიეთ და ეს დღე გამარჯვებით ვერ დასრულდა.**

**დარწმუნებული ვარ, ქართველების სურვილი მალე აღსრულდება. ეს დამოკიდებულია ბევრ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზზე, მაგრამ სასურველია ამით გამორჩეული სწორედ 2010 წელი გახდეს. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი“...**

სავარაუდოდ, ამ კომენტარისგან დიდად განსხვავებული არც დანარჩენი ოპოზიციონერის პოზიცია იქნებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ხუთი წუთიც კი მათთვის ერთობ ძვირად ფასობს.

კიდევ კარგი, პრესის ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ასეთი ურთიერთობა ძველ წელს გაჰყვა და ახალი მოვიდა. ახლა კი ყველაფრის გამოსწორებას გვპირდება ხოლმე... ჩვენც ამის იმედი გვაქვს!

**თეა მოსია**

ინფორმაცია

## მოსკოვი „ბორჯომს“ ელოდება

**საქართველოდან რუსეთში „ბორჯომის“ შეტანის მოლაპარაკებების პროცესში წინსვლა არაა, თუმცა მისი რუსეთში დაბრუნება ტექნიკური თვალსაზრისით პრობლემას არ წარმოადგენს. ამის შესახებ „ეხო მოსკვის“ ეთერში რუსეთის“ როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა.**

**ონიშჩენკოს თქმით, არსებობს პოზიტიური იმპულსები, მით უფრო რომ ბიზნესი ამ თემას მუდმივად „ალვიძებს“.**

**მისი განცხადებით, „ბორჯომის“ მიწოდების აღდგენა ტექნიკურად რთულ პრობლემას არ წარმოადგენს.**

ХО-ЭИВ-ЭНИ

ვითხოვ სიტყვას!



# მე არ მინდა აფხაზეთი!

***თანაც** რუსის მეფის მოგდებული და ვითომ ნოლაიდელის ან სხვა ნოლაიდელების დაბრუნებული. აფხაზეთი, ვითომცდა გაერთიანებული საქართველოს ნაწილი, რეალურად კი, მუდამ ჩემი თავის ტკივილი. აფხაზეთი, რომელსაც როცა უნდა წამართმევენ და აფხაზეთი, რომელიც ჩემთვის მხოლოდ გზა იქნება კრასნოდარამდე, მეტი არაფერი. ამ გზაზე მიმავალს ვისაც გაუხარდება და როცა გაუხარდება, მაშინ დამამცირებს, შეურაცხმყოფს, მე კი უნდა ვითმინო. ვითმინო, ვაითუ რუსს ან მორუსო აფხაზს ვაწყენინო, და ისევ აყვირდნენ — არ გვინდა ქართველები, გვინდა რუსები და ჩეჩნებიო. სხვათა შორის ნოლაიდელებსაც იმას უზამენ, რაც გაუხარდებათ, ერთ მშვენიერ დღეს პანღურსაც კი ამოჰკრავენ და მე გამახსენებენ, ვინ არის რეალურად სიტუაციის ბატონ-პატრონი.*

თქვენ გინდათ ასეთი აფხაზეთი? მეც არ მინდა! მინდა ის, რომ საქართველო ისეთი გახდეს, როგორიც საახალწლო ბათუმი იყო. მე და ჩემი გაჭირვებული გურულები, არანაკლებ გაჭირვებული მეგრელები და იმერლები, ყველა, ყველა ქართველი, ვიყოთ ასეთი დღესასწაულების მონაწილე და ავტორები. მერე ? მერე კი აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთს, ძალით თუ ნებით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ეს უკვე ჩვენი გადასაწყვეტი იქნება, ვერც ვერავინ გვიკარნახებს, რა ვაკეთოთ და ვერც ვერავინ ხელს ვერ შეგვიშლის.

ყველა იმ აფხაზს, ვინც ჩემი ძმაა და ვისთვისაც საქართველო სამშობლოა, გულში ჩავიხუტებ და მათთან ერთად ვიამაყებ გაერთიანებული საქართველოთი. არც იმათ დავტოვებ უპატრონოდ, ვისაც საქართველო სამშობლოდ არ მიაჩნია. ყველას დავაბინავებ, ყველას ბილეთებს ვუყიდი კრასნოდარამდე. იმედია, რამდენიმე ბილეთის ყიდვა, ორი-სამი ტვინარეულისთვის ბალაფშის მეთაურობით, არ გაგვიჭირდება. მერე კი თავად გადაწყვიტონ, საით წავიდნენ — ჩეჩნეთში თუ ციმბირში. მე რუსეთში კარგა ხანი მიცხოვრია და, მიუხედავად იმისა, რომ შორს კია, მაინც ციმბირს ვურჩევდი. კოკოითსაც არ დავტოვებდი დაუბინავებელს, ბილეთს ინგუშეთამდე ვუშოვიდი, ამბობენ, იქ კოკოითები ძალიან უყვართო!

მოვა დრო, და ამას აუცილებლად ვიზამთ და სულაც არ მაწუხებს რუსის მეფის აზრი. ისიც ვიცი, რომ რუსეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვექნება, ძალიან კარგი კი არა — ყველაზე კარგი. სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენ ხომ ბევრი რამ გვაკავშირებს და კიდევ უფრო მეტი საერთო გვაქვს. მე პირადად, თუნდაც ის, რომ ჩემი შვილი ნახევრად რუსია, ნახევარ მილიონზე მეტ ქართველს კი ის, რომ მათთვის რუსეთი მეორე სამშობლოა, მაგრამ ეს უკვე იქნება სხვა რუსეთი და რაც მთავარია ჩვენ, ქართველები, ვიქნებით სხვანი, საახალწლო ბათუმივით გაბრწყინებული და მოდღესასწაულე.

**თემურ კილაძე,**
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. ქ. ოზურგეთი

საპრეზიდენტო დაუსაბუთებელი მტკიცებანი

# ლაყუჩში ჩარჩენილი ანკესი

(მესამე გვერდიდან)

26 დეკემბერს ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობის წინაშე გამოსვლისას, პრეზიდენტმა, ქუდზე კაციო, მოგვიწოდა.

საქართველოს წინააღმდეგ ომი ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომ ჩვენი ყველა მოქალაქე, როგორც ერთი, მზად უნდა იყოს ქვეყნის დასაცავად, ყოველი ოჯახი, ყოველი სახლი ციხესიმაგრედ უნდა იქცესო.

საერთოდ, მტერს ილუზია ნუ ექნება: ნებისმიერ ახალ ფართომასშტაბიან ავანტიურას წინ აღუდგებიან ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები, იარაღს აიღებს თითოეული ქართველი მამაკაცი და ქალი, ყოველი სახლი, ქუჩა, რაიონი, სოფელი, ქალაქი, დასახლება და კვარტალი ბასტიონად, წინააღმდეგობის კერად იქცევაო.

ერთი სიტყვით, სწორედ ისე, როგორც 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი ითქვა: „დებო და ძმებო, თანამემამულეებო, თქვენ მოგმართავთ მე ჩვენი სამშობლოსთვის ამ უმძიმეს ჟამს“...

ოღონდ, დღეს უკვე ასე წკიპზეა საქმე?

დღეს ხომ 2008 წლის 8 აგვისტო არ არის?

ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა რომ გამოგვდის?

ვითომ სამომავლოდ ვიზღვევთ თავს?

თავის დროზე, აგვისტოში, მტერი რომ თბილისისკენ გამოიჭრა ტანკებით, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემაც მოგვიწოდა გარდარეულად პატრიოტულად, აბა ხალხო, ვისაც რით შეგიძლიათ — დანებით, ჩანგლებით, შამფურებით, სადგისებით შეიარაღდით და მტერს ეკვეთეთო, ისე იოლად და ლაღად, როგორც გივი ბერიკაშვილი გვეპატიჟება ხოლმე, აბა ხალხო, წავედით იუმორინაზეო.

კიდევ კარგი, ტოტალურად საკვეთებლად არ გახდა საქმე, იგოეთთან შეაბრუნა რუსმა ტანკები და ამგვარად თავისი ცნობილი 58-ე არმია გადაარჩინა.

ისე, ამბობენ, ჩვენ რომ ჩანგლებს და შამფურებს ვლესავდით და ბემელთან სანგრების გათხრას ვაპირებდით, წითელ ხიდთან დაზურგული ჯიპების უგრძესი რიგი იდგა სულ „ცნობადსახეებიანი“ დაფეთებული ეკიპაჟებითო.

პრეზიდენტმა მართებულად ბრძანა, საბრძოლო მომზადებისა და ერთგულების პარალელურად მომავალი გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი შეიარაღებული ძალების მასობრიობაც იქნებაო და ამ მასობრიობის დაახლოებითი ზღვარი გულუხვად დაასახელა: ასი ათასი, ორასი ათასი, სამასი ათასი და თუ საჭირო გახდა, ნახევარი მილიონი კაცი უნდა დადგესო თოფქვეშო. საამისო ავტომატები გვქონია, ტყვია-წამალი კი — სამყოფზე მეტიც.

იქვე გაგვაფრთხილა, უამისოდ არავინ მოგვართმევს ხონჩით არც თავისუფლების გრძელვადიან გარანტიას, არც ეკონომიკურ განვითარებას, არც წარმატებასო.

ჩვენი პრეზიდენტი, შესაბამისად ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი, აშკარაა, რაღაც სერიოზულისთვის ემზადება, ყოველ შემთხვევაში, ამ სერიოზულს ოცნებაში მაინც ხედავს, თორემ 500 ათასი ჯარისკაცი რა ამბავია! ნახევარი მილიონი ბრძოლისუნარიანი კაცის მოძიება არ გინდა ამ უჭმელობით, უწამლობით, უპერსპექტივობით გადალასლასებულ საქართველოში?

ჩინგიზ ყაენმა სულ 150 ათასი მხედრით დაიწყო (და დაასრულა კიდეც) მსოფლიოს დაპყრობა. მისმა სარდლებმა ჯებემ და სუბუდაიმ კი მხოლოდ 30 ათასი მეომრით დალაშქრეს ირანი, აზერბაიჯანი, საქართველო, ჩრდილო კავკასიაში, მდინარე კალკასთან, რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ჯარი მოსრეს და დნეპრამდე სდიეს...

როგორც ჩანს, ისრაელის გამოცდილებას ვიზიარებთ და სამშობლოს სადარაჯოზე კაციანქალიანად ვდგებით. და აქ თითქოს წინასწარ ვჭვრეტ ჰეროიკულ კადრს: გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი თეა თუთბერიძე, სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ეკა ხერხეულიძე, ბატალიონის მეთაურები ეკა კვესიტაძე და ქეთუსია იგნატოვა აბოლებულ ბრძოლის ველზე, დამწვარი ტანკებისა და დახორებული მკვდარი ჯარისკაცების ფონზე, როგორ უყრიან ფეხქვეშ ხმალზე დაყრდნობილ, დაღლილ და ბედნიერ მთავარსარდალს სამფეროვან რუსულ დროშებს...

ასეთი კადრის განსხეულებისთვის ალბათ ღირს სიცოცხლე...

ერთი სიტყვით, ჩვენი ფხიზელი პრეზიდენტი რაღაცისთვის გულდაგულ ემზადება. თვით საახალწლო მილოცვაც კი იმით დაიწყო, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა კბილებდაღრჭენილი ჩრდილოელი მტერი და ამოცანად დაგვისახა, ყოველ ქართველს (იგულისხმება, ქალსაც და კაცსაც) ცალ ხელში თოხი და კომპიუტერი უნდა გეჭიროთ, მეორეში კი იარაღიო, ანუ ავტომატი და ყუმბარმტყორცნიო. და ახლა მოქალაქენი ერთმანეთში შეშფოთებულნი ბჭობენ, თოხი გასაგებია, მაგრამ ის კომპიუტერი, ავტომატი თუ ყუმბარმტყორცნი, გამუდმებით, ძილშიც და ცხადშიც რომ უნდა გვეჭიროს ხელში, ჩვენი მწირი სახსრებით უნდა შევიძინოთ, თუ ხელისუფლება დაგვირიგებსო?..

ასეა თუ ისე, ავად თუ კარგად, ჩვენი ხვალინდელი დღე გარკვეული, გამონასკულია. იმან იკითხოს, ვისაც ჩვენსავით წინ და შორსმხედველი ხელმძღვანელი არ ჰყავს, ცხენის გასახედნად მამიდასთან მიმავალს რომ მოუწევს ჯავშანტრანსპორტიორში ჩაჯდომა. ჩვენ რა გვიჭირს!..

**ალეკო ასლანიშვილი**

შეფასება

# ძველის და ახლის მიჯნაზე

**2009 წელმა თავი დაგვიკრა, დაგვემშვიდობა და გზა დაულოცა ახალ, 2010 წელს. ადამიანი, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ახალ წელს უკავშირებს იმედების, ოცნებების ასრულებას, მაშინაც კი, როდესაც ამის ნაკლები იმედი აქვს. იმედის ანაბარად დარჩენილი ქვეყნისთვის იმედი უდიდესი სტიმულია. იმედების ასრულებას გისურვებთ პატივცემულო მკითხველო თქვენ და საქართველოს. იქნებ მომავალში მაინც ფრთები შეესხას თქვენს ოცნებებს, იქნებ მამაზეციერმა მოწყალე თვალით გადმოხედოს შინაური და გარეული მტრებისაგან დაოსებულ საქართველოს.**

ადამიანს ერთი ასეთი თვისებაც ახასიათებს — მომავლისათვის იმედის თვალით შეხედვასთან ერთად, განვლილის შეფასება. განვლილი მომავლის ხიდია, მისი დამდგენ-განმსაზღვრელი და რახან ასეა თვალი გადავავლოთ უკვე ისტორიას ჩაბარებულ 2009 წელს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რით იყო ის გამორჩეული, დასამახსოვრებელი.

ნებისმიერი სახელმწიფო, მიუხედავად საკუთარი სიმყარის და სრულყოფილებისა არა მარტო ქვეყნის შიდა პოლიტიკურ დინებაზეა დამოკიდებული, არამედ გარეზეც. მისი ყოფა საზღვრებს გარედან დაბერილი ქარის სისწრაფით და სიძლიერითაც განისაზღვრება. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო საგრძნობია დაბერილი ნიავის ზემოქმედება. საქართველო სწორედ ისაა, პატარა სიოც რომ დრეკს წელში. სახელმწიფო ხერხემლის სისუსტე უცხოურ ვირუსთან გამკვლავების ნაკლებ შანსს იძლევა.

**სახელმწიფო ხერხემალი არა მარტო გონივრულად ჩამოყალიბებული სახელისუფლებო სტრუქტურებია, არამედ საზრიანად მართული ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება. სახელმწიფო ხერხემალი — აღნიშნულ სტრუქტურებში გამოცდილი, შესაფერისი, პროფესიონალი კადრების დასაქმებაა. სახელმწიფო ხერხემალი — ქვეყნის შიდა დისციპლინისა და ამ საქმისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების — მწვადისა და შამფურის დაუწველობის ზღვარზე ჩამოყალიბებაა. ამ უხილავი ზღვარის მინიმალური დარღვევა იმ სახიფათო სივრცეში გადასვლას ნიშნავს — სახელმწიფოს, რომ პოლიციურად აქცევს. სახელმწიფო ხერხემალი — ეროვნული არმიის ჩამოყალიბება, მისი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და წვრთნაა. სახელმწიფო ხერხემალი — იმ საერთაშორისო ენის ცოდნაცაა სხვებთან ურთიერთობას რომ აწესიგებს და არ აუარესებს. — დიდი რუსთაველის — გველს სოროდან გამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარის — სრული გათვალისწინებით. მსოფლიოს პატარა სახელმწიფოთა გამოცდილება გვკარნახობს მოქნილ, საზრიან დიპლომატიას, თუმცა ქართული პოლიტიკა და დიპლომატია ყრუ და ბრმაა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასთან, ისე როგორც ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან თუ შენი არ იცი, სხვისი გაიგე, ეს ბრძნული შეგონებაც 2004 წლიდან დავიწყებულ-უგულებელყოფილია, რაშიც დიდი წვლილი აშშ-ს მიუძღვის.**

ვაშინგტონიდან დაბერილმა ზურგის ქარმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ხელი-



სუფლებაზე. ქვეყანამ წინსვლის ნაცვლად, უკან დაიხია. ვაშინგტონური მხარდაჭერა გასულ წელსაც გრძელდებოდა, უფრო მეტად ინერციით, ნაკლები ენთუზიაზმით. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის თბილისურმა ვიზიტმა და მის მიერ დახარჯულმა სიტყვებმა სააკაშვილის შერყეული პოზიციები გაამაგრა, თუმცა ძნელი სათქმელია რამდენი ხნით. ძნელი სათქმელია ისიც, უჭერს თუ არა ობამა მას მხარს ან რა ხარისხის მხარდაჭერასთან გვაქვს საქმე.

2009 წელი ურთულესი წელი იყო, როგორც ამერიკისთვის, ისე ახალზედა პრეზიდენტისათვის. შიდა და გარე პრობლემებში გაბმულ ობამას არც დრო და არც განწყობა ჰქონდა, ჩაღრმავებოდა საქართველოს პრობლემას. ეკონომიკურმა კრიზისმა მწვავედ შეუტია კაპიტალიზმის ბასტიონს, რამაც ახალი ადმინისტრაციის პერმანენტული ყურადღება მოითხოვა. წლის ბოლოს კრიზისი შენელდა, თუმცა ძნელია ოპტიმიზმით საუბარი.

2009 წელი ამერიკისთვის საერთაშორისო პოლიტიკაში კარდინალური გარდატეხის წლად შეიძლება ჩაითვალოს. ახალი პრეზიდენტის მსოფლიო ხედვა ძირფესვიანად განსხვავებულია წინამორბედისგან. მას მხარს უჭერენ, როგორც მოკავშირეები, ისე მოწინააღმდეგეები. ბარაკ ობამამ მსოფლიოს, სხვაგვარი აზროვნება წარუდგინა — დაფუძნებული თანამშრომლობაზე, კოლექტიურობაზე, დიალოგზე, ურთიერთგაგებაზე. მას არაფერი აკავშირებს მსოფლიო ერთპიროვნული მმართველობის დაჩემებასთან, ჰეგემონიზმთან. ეს ის აზროვნებაა, რომელიც ხიბლავს სხვას. ეს სწორედ ისაა, რამაც განაპირობა ახალი პრეზიდენტის ნობელის პრემიით დაჯილდოება.

გასული წელი ამერიკისთვის წინასაარჩევნო დაპირებების ასრულების წელიც იყო. ამერიკელი ამომრჩეველი მკაცრი არბიტრის დარად ადევნებდა თვალს ამ პროცესს და თავის დამოკიდებულებას გამოკითხვებში აფიქსირებდა. გამოკითხვების მიხედვით პრეზიდენტის რეიტინგი იმაზე გაცილებით დაბალია, ვიდრე მოღვაწეობის დასაწყისში. ამის ბევრი ობიექტური ახსნა არსებობს, თუმცა პრაქტიკოს ამერიკელებს სიტყვის ნაცვლად საქმე ურჩევნიათ. მათ აწუხებთ მზარდი უმუშევრობა, ავღანეთში მიმდინარე ომი, ეკონომიკური კრიზისის შედეგები და სხვა. წვრილ და მსხვილ პრობლემას რა გამოლევს, გარდა ამისა მათი ერთი ხელის მოსმით მოგვარება შეუძლებელია, მაგრამ დასაიმედებელია ის, რომ დანაპირების შესრულება დაწყებულია და სავარაუდოდ მომავალ წელს დასრულდება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირება. კანონპროექტს მხარი დაუჭირა სენატმა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მომავალ წელს მას ხელი მოეწერება. ძნელად, მაგრამ მაინც გამოსწორება შეინიშნება ეკონომიკაში. დახურვის პროცესშია გუანტანამოს ციხეც. მომავალი წლის ივნისში ბონის გამართული კლიმატის კონფერენცია წერტილს დაუსვამს ამ დარგში საჭირო დოკუმენტის მიღებას. ხელი მოეწერება ამერიკა-რუსეთის ხელშეკრულებას სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით.

იხ. 6 გვ.

ვინ — ვის?

# მოგებულ-წაგებულები

***„საქართველო არა მხოლოდ გადარჩა, არამედ დადგა ფეხზე. მე აქ (პრეზიდენტის სასახლეში. ავტ.) იმიტომ არ ვარ, რომ ეს ჩვენ შევძელით და ფეხზე დავაყენეთ. ეს გააკეთა ქართველმა ხალხმა“, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა წლის შედეგების შეჯამებისას.***

*პრეზიდენტის ამ მოსაზრებას მომხრეებიც უხვად ეყოლება და მოწინააღმდეგეებიც. თუმცა ფაქტია, რომ 2009 წელს ჩვენს თავზე კვლავ არ დაფრინავდნენ რუსული ავიაგამანადგურებლები. სხვა წვრილ-წვრილი წარმატებები ამ პოზიტივთან მიმართებაში ვისთვის შესაძლოა წონადიც იყოს, ვისთვის კიდევ — არაფრის მთქმელი. ამის მიუხედავად წელი მიილია. ბევრი რამ გადავაფასეთ... შევაფასეთ და საფიქრალიც დაგვრჩა.*

***„ეს იყო ყველაზე რთული პერიოდი. ომი და მისი შემდგომი ოკუპაცია, უმძიმესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც გადაუარა მთელ მსოფლიოს და რეგიონს და ასევე მრავალთვიანი შიდა პოლიტკური დესტაბილიზაცია. ჩვენ გავუძელით ერთსაც და მეორესაც“,*** *— აცხადებს პრეზიდენტი.*

*ქვეყნის პირველი პირის გამონათქვამთან დაკავშირებით პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ქვეყანას თითქმის არ უგვრძნია, ხოლო საპროტესტო აქციებისას მოსახლეობამ ძალიან მაღალი კულტურა აჩვენა.*

„პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ მდგომარეობა იდეალურია. მან თქვა, რომ უარესი შეიძლებოდა ყოფილიყო და ეს უარესი რამ არ მოხდა. სააკაშვილმა ამასთან მიმართებაში აღნიშნა ხალხის ღვაწლი. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრ ქვეყანას მძიმედ გადაუარა. ჩვენ ეს პროცესი თითქმის არ გვიგრძვნია. მდგომარეობა არ არის სახარბიელო, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ისეთი სურათი, რომელიც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში იყო, არ შექმნილა. რაც შეეხება შიდა დესტაბილიზაციას, აქ მოსახლეობამ ძალიან მაღალი კულტურა აჩვენა, რომ პროტესტი დესტაბილიზაციაში და სახელმწიფო კრიზისში არ გადაზრდილიყო. ამაში ოპოზიციასაც აქვს დამსახურება, რადგან ოპოზიციამ საპროტესტო განწყობას არ მისცა რადიკალური ხასიათი“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ რამაზ საყვარელიძემ.

დიახ, 2009 წელი რთული იყო 2007-ზე, როდესაც მან 7 ნოემბრის აქციის დარბევით უდიდესი დარტყმა მიაყენა საკუთარ ავტორიტეტს. რთული იყო 2008 წელზეც, როდესაც რუსეთის აგრესიის პირობებში ქვეყნისთვის გამოხატული მხარდაჭერის პარალელურად მსოფლიო მოიარა პრეზიდენტის ადამიანური სისუსტის გამომხატველმა კადრებმა (ჰალსტუხი და გაქცევა). ამის შემდეგ, ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანისთვის რა თქმა უნდა, მტკივნეული იყო, ჰქონოდა დაკარგული ტერიტორიებიც და ჰყოლოდა ბრძოლის ველიდან გაქცეული მთავარსარდალი. ამიტომ პრეზიდენტს და მის მოხრეებს არც უნდა გაკვირვებოდათ, თუნდაც ამ გარემოების გამო გაბრაზებული ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის არსებობა და სხვადასხვა სახით გამოხატული პროტესტი.

სწორედ პროტესტის შედეგად, ლამის სასახლის გარეშე დარჩენილმა პრეზიდენტმა თანდათანობით იმდენად დააკნინა საკუთარი ოპონენტების სახე, ისე დაშალა ერთ მუშტად შეკრული — „მონოლითური“ ოპოზიციის რიგები, რომ მისი გადადგომის მომთხოვნი პოლიტიკოსებიდან ზოგი ლამის მთავრობაში აღმოჩნდა, ზოგიერთის გამოჩენამ კი სამთავრობო დაწესებულებების დერეფნებში ამ უწყებების აპარატის თანამშრომლებს ავი სულის მოჩვენებისას წარმოსათქმელი ფრაზები აყრევინა ბაგეთაგან — „ფუი ეშმაკს... ფუი ეშმაკს...“. — თუმცა, ადამიანი ავ სულსაც გუობს ალბათ და როგორც კულუარებიდან ჟონავს — მავანთა ლამეული თანაცხოვრება დღეს და გადმოდულს.

ოპოზიცია ხშირად აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა არასწორი მეთოდებით ითამაშა, ხელების გადაგრეხვა დაიწყო და ასე შემდეგ. მაგრამ ამ მოსაზრებების ავტორებს ავიწყდებათ, რომ არც ერთი ხელისუფლება, ძალაუფლებას ჰარი-ჰარად არ დათმობს. თუმცა ისიც რეალობაა, რომ ოპოზიციამ დაარღვია ბუნების კანონი — წარმოქმნა ძალა, მიიღო წინააღმდეგობა და საპასუხო წინააღმდეგობის არც ძალა აღმოაჩნდა და არც მარიფათი.

უფრო მეტიც, „საკნები „ფე-ეს-ბე“-დან გამოგზავნილი სცენარი იყო და ეს დადასტურებულია“, — განაცხადა პრეზიდენტმა და ისიც განმარტა, რომ „ჩვენ გვერდზე გავდექით და ქართულ საზოგადოებას, რომელიც ომისგან იყო ტრავმირებული, გადაწყვეტილების მიღების საშუალება მივეცით. აქციები სინამდვილეში საზოგადოებამ დაშალა და გონიერებისკენ მოუწოდა. საბედნიეროდ, ვერ განახორციელეს პროექტი „თბილისი მკვდარი ქალაქი“ და ვერც ვერასდროს განახორციელებენ“. საკმაოდ მძიმე ბრალდებაა იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ მოგვისმენია ხელისუფლების წარმომადგენელთა და თვით პრეზიდენტის განცხადება, რიგი ქართველი პოლიტიკოსის კრემლთან კუსკუსის შესახებ.

სამწუხაროა, რომ არავის გაუჩნდა სურვილი „ეფ-ეს-ბე“-სთან კავშირის არგუმენტირებულად უარყოფის შესახებ, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის საზოგადოების ნიჰილიზმს მთელი რიგი ოპოზიციური ძალის მიმართ. უფრო მეტიც, ისიც ხომ ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ილლიაში ამოიჩარა და პრეზიდენტის ტრიბუნის არ იყოს, იქ „ამაგრებს“, სადაც მოისურვებს.

„ბოლო პერიოდში ბევრად მეტ დროს ვატარებ ოპოზიციასთან, ვიდრე უმრავლესობასთან და ეს ძალიან სასარგებლოა. უშიშროების სხდომაზე, პრაქტიკულად ყველა მოვიდა. პრაქტიკულად ყველა სერიოზულმა ძალამ მიიღო მონაწილეობა საარჩევნო კოდექსზე მუშაობაში. შეიძლება ზოგმა პოზა დაიჭირა, რომ არ მოსწონს შეთანხმებული კოდექსი, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას ხომ იღებენ? ესე იგი ულირთ მონაწილეობა და იმიტომ“, — აცხადებს პრეზიდენტი და მავანთა პოზიორობაზე საუბრით ოპოზიციონერთა არც თუ უმნიშვნელო ნაწილის სიკეკლუცეს უსვამს ხაზს.

არც ამ გამონათქვამს მოჰყოლია რაიმე სახის შეფასება. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ რომ პრეზიდენტი მართალია და იმაზე ბევრად ცოტას ამბობს, რაც მისთვისაა ცნობილი.

იხ. 6 გვ.

◎ შეფასება

# ძველის და ახლის მიჯნაზე

(მეხუთე გვერდიდან)

**საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებს. საქართველოს ხელისუფალთა გაგებით, რაც უფრო ცუდი ურთიერთობა ექნებათ მათ ერთმანეთთან, მით უფრო უკეთესი იქნება საქართველოსთვის. მსგავსი აზროვნება იმ პრიმიტივიზმის ნათელი დასტურია, რასაც კარგა ხანია, აქვს ადგილი ქვეყანაში. სხვათა კინკლაობაზე აგებული საკუთარი ბედნიერება მალფუჭი პროდუქტივით ხანმოკლე პერიოდისთვის არის განკუთვნილი. მას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის ნათელ აწმყოსა თუ მომავალთან. ხელისუფალთა გულდასაწყვეტად უნდა ითქვას გასულ წელს ორთა შორის განვითარებულმა მოვლენებმა, პერმანენტულმა დიალოგმა მნიშვნელოვნად შეცვალა მოსკოვ-ვაშინგტონის დამოკიდებულება. გაჩნდა თანამშრომლობის შანსი, თუნდაც სამხედრო სფეროში.** ამის დასტურად ავღანეთიც კმარა. გაჩნდა ნდობა, რომელიც ნულზე იყო დასული. ნდობის ფაქტორის გაჩენას ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების პროექტის დაკონსერვებამ, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების რიტორიკისა და ქმედების შესუსტებამ. მსოფლიო პრობლემების მოწესრიგებისთვის ვაშინგტონს ჰაერივით სჭირდება რუსეთის დახმარება. ავღანეთი, ირანი, ტერორიზმი, ეკონომიკური კრიზისი, ახლო აღმოსავლეთი, ბირთვული იარაღის შემცირება, კლიმატის გაუმჯობესებისთვის ბრძოლა, ის მოკლე ჩამონათვალია, რომელთა დაძლევა ურუსეთოდ შეუძლებელია. ვაშინგტონის დღევანდელი ადმინისტრაცია რეალურად აცნობიერებს ყოველივეს. მისთვის გაცილებით უმჯობესია მოწინააღმდეგე რუსეთის პარტნიორად გადაქცევა, ვიდრე გალიზიანება. საქართველოს ხელისუფლება კი ოცნებობს სწორედ დაპირებაზე. მისი ავადმყოფური აზროვნებით მხოლოდ დიდთა ქიშპობას შეიძლება მოჰყვეს ვაშინგტონისთვის საქართველოს როლის გაზრდა. ამაო და აუსრულებელია ეს ოცნებები, ისე, როგორც დაავადებული წინა ადმინისტრაციის იდეების დაბრუნება.

2009 წელს მსოფლიო საფუძვლიანად შეიცვალა, დაშორდა ნეოკონსერვატიულ აზროვნებას, ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში გამეფებულ-გათავხედებულს. ცხადია, მოსკოვ-ვაშინგტონი ისე არ ჩაეხუტება ერთმანეთს ამ უკანასკნელს მთლად მიავიწყდეს საქართველო, მაგრამ საქართველოს ხელისუფალთა მიერ საკუთარი ქვეყნის, ხალხის და რაც მთავარია, თავისათვის საწინააღმდეგოდ გადადგმული ავანტიურისტული ნაბიჯებით გამოწვეული უბედურებების მოსაწესრიგებლად თავს არ შეიწუხებს. **როგორც ჩანს ბაიდენის ვიზიტი ამერიკულ-ქართული ურთიერთობების მწვერვალად დარჩება. უფრო მაღალი მწვერვალების დალაშქვრას აშშ-ს მხრიდან ადგილი არ ექნება და ასე იქნება ვიდრე ობამა იქნება თეთრ სახლში. დაუმსახურებელი მხარდაჭერის მომლოდინე საქართველოს ხელისუფლებისთვის უმჯობესი იქნებოდა ახალი პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება, ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, მაგრამ ეს ხელისუფლება ვერ შეძლებს ამას, ისევე, როგორც ოპოზიცია.**

**2009 წელი ოპოზიციის სრული კრახის წლადაც შეიძლება ჩაითვალოს. ხანგრძლივმა, უმიზნო მიტინგებმა, თბილისის ქუჩებში დადგმულმა საკნებმა, ხელისუფლებასთან კუდის ქიცინმა, უშიშროების საბჭოს სხდომებზე დასწრებამ, სხვა მრავალმა უგვანო ქცევამ ხალხის თვალში საბოლოო ლახვარი ჩასცა ოპოზიციას, საერთოდ, ოპოზიციურ სულისკვეთებას. დასტურად ის სამარისებული დუმილიც კმარა, რასაც ადგილი ჰქონდა დიდების მემორიალის აფეთქებისას ქუთაისში, თბილისში, სხვა ქალაქებში.**

2009 წელი ქართული საზოგადოების გახლეჩის წელიც იყო. გაყოფილებს არც ერთმანეთის ესმით და არც სურვილი აქვთ ამისა. ფონს გასულთა მხარეს ხელისუფლების მხარდამჭერთა საგრძნობი ნაწილია საჯარო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში, საბანკო სექტორსა და ელიტარულ მედიაში, ბიზნესსა და შოუბიზნესში მომუშავეთა, აგრეთვე ახალი ინტელიგენციის წარმომადგენელთა სახით.

მეორე მხარეს ისინია, ვინც შორს არიან ამ ჩამონათვალისგან. ყველა მათგანს თვალი საზღვარგარეთ წასვლისკენ უჭირავს. სხვადასხვა მაქინაციებით სურთ თავი დააღწიონ მათთვის გაუცხოებულ სამშობლოს. საკუთარი თავისა და ოჯახის გამოკვება სამშობლოს სიყვარულზე მაღლა დგას. ეს ის ძალაა, რომელმაც ქვეყნის გამთლიანებაზე უნდა იფიქროს. ალბათ ასეც მოიქცეოდა შინ, რომ ასატანი პირობები ჰქონოდა. ამ ნაწილს მუქთახორა ფონსგასულებთან შედარებით ქვეყნის მშენებლობაც შეეძლებოდა, მაგრამ აქვს კი ვინმეს ამის სურვილი?

2009 წელს ახალი კონსტიტუციის შექმნას ჩაეყარა საფუძველი, როგორც ჩანს ხანგრძლივი პერიოდით საინტერესოა, რას ჩაწერს კომისია დაკარგული ტერიტორიების მიმართ? ისევ სირაქლემას პოზას ექნება ადგილი?

**გასულ წელს ჩვენგან წასული ავტონომიების იურიდიული აღიარების წელიც იყო. შენელებული, მაგრამ მაინც. არც მოსკოვს და არც სოხუმ-ცხინვალს არსად ეჩქარებათ, როგორც ჩანს, არც თბილისს. მათთან ურთიერთობის ახალი კონცეფცია ამის დასტურია. დოკუმენტზე ყურადღების გადატანა ან დროს ხარჯვა, პოლიტიკური ფუფუნებაა. რა გაეწყობა — პროცესს, რომელსაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჩაეყარა საფუძველი, ვერაფერი შეაჩერებს. ის მომავალშიც გაგრძელდება, ფეხბურთში მიღებული უბურთო თამაშის მსგავსად, მაგრამ პოლიტიკა ბურთით თამაშია — მეტადრე კონკრეტული, ვიდრე აბსტრაქტული.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ ვინ — ვის?

(მეხუთე გვერდიდან)

თუმცა, რამაზ საყვარელიძე ოპოზიციის რიგი წარმომადგენლების „სიამტკბილობას“ ხელისუფლებასთან თავისებურ ახსნას უძებნის.

„ოპოზიცია რთულ სიტუაციაშია. შესაძლოა, მათთვის მიუღებელი იყოს ის საარჩევნო კოდექსი, რომლის პირობებშიც მათ მოუწევთ საარჩევნო პროცესში ჩართვა, თუმცა რომც არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, გამოიძებნება ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში და საერთაშორისო საზოგადოების თვალში მრავალპარტიულობის სურათი მაინც დაიხატება. ამიტომ, პროტესტის მიუხედავად, ოპოზიციას არჩევნებში მონაწილეობა მაინც უწევს. გაბუტვა პოლიტიკას არ უყვარს. თუ ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ის პოლიტიკური პროცესების მიღმა აღმოჩნდება და მოხდება ამ ძალების მარგინალიზაცია“, — აცხადებს საყვარელიძე.

ისე, არც იმის პროგნოზირებაა ძნელი, რომ უახლოეს მომავალში უფრო სწორად, ადგილობრივი არჩევნების მეორე-მესამე დღეს, ჩვენი ოპოზიციის არც თუ უმნიშვნელო სახეები კიდევ ერთხელ დაიწყებენ საუბარს გაყალბებულ არჩევნებზე, კიდევ ერთხელ მოუხმობენ ქუდზე კაცს, კიდევ ერთხელ იტყვიან, რომ მიშამ არჩევნები ძალიან ადრე დაიწყო და სახელისუფლებო რესურსს იყენებდა და ა. შ.

კი მაგრამ მერამდენედ ერთი და იგივე? როგორც ხალხში იტყვიან, ებრაელის დაწყევლილივით არის ჩვენი ოპოზიცია — არც თავად იცის და არც სხვისგან უნდა რამე ისწავლოს. ისე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს რომ მრავალი მათგანი რაღაც დრომდე პრეზიდენტის კალთაში მშვენივრად გრძნობდა თავს. მაგრამ მისგან ვერც შემართება ისწავლა, ვერც პოლიტიკური პაექრობის ანა-ბანა.

და მაინც, კიდევ ერთხელ, ვინ იცის მერამდენედ გავიმეორებ, რომ სხვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო ფაქტორთან ერთად რასაც პრეზიდენტს ვედავებოდი, იყო მის მიერ აგვისტოს შემდეგ არ თქმული ფრაზა — **„მე გადავდექი!“**. სამწუხაროდ ვლადიმერ პუტინისთვის ზურაბ ნოღაიდელის მიერ არ თქმული ფრაზის შემდეგ — „რა ეშველება ჩემს სამშობლოს“ — დავრწმუნდი, რომ ჩემი ქვეყნის დამარცხებული მთავარსარდალი მირჩევნია პიერ კარდენის კოსტიუმში გამოპრანჭულ ექს-პრემიერს. უფრო მეტიც, პუტინიც კი პატივისცემას იმსახურებს როგორც საკუთარი „დერჟავის“ ინტერესების დამცველი, ვიდრე ქართველი გლეხების ბედზე მომტირალი ქართველი პოლიტიკანები.

უკვე გავიგეთ, რომ რუსეთის პოლიტისტებლიშმენტს საქართველო უყვარს, მაგრამ ქართველების გარეშე. დიახ, უყვართ და სწადიათ ჩვენი მიწა-წყალი — საქართველო, როგორც გეოგრაფიული ერთეული. მათ ხომ სწორედ ასევე უყვართ აფხაზეთი, რომელიც ამჟამად ნაურუს მიერ აღიარებული რუსეთის „დამოუკიდებელი“ პროვინციაა.

პრეზიდენტმა ნოღაიდელის ქმედებებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი იმაზე უფრო დაბლა დაეშვა ვიდრე ამის წარმოდგენა შესაძლებელი იყო.

რუსეთთან საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებების თვალსაზრისითაც თუ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, არც იმის აღნიშვნას უნდა მოვერიდოთ, რომ ბებერი ევროპის რიგი სახელმწიფო, ზამთარში კრემლთან ერთად წევს, გაზაფხულზე უმანკო სახით შემოგვცინცინებს, ზაფხულს კანის გადაჭიმვასა და გარუჯვას ანდომებს, ხოლო შემოდგომას მაკიაჟს — ისევ კრემლის საწოლში ჩასაგორებლად.

უფრო მეტიც, ჯორჯ ბუშის მიერ გაჩაღებულმა ცხელმა წერტილებმა ობამას რომ დასწვა თითები, ესეც აშკარაა და „გარუჯული ბიჭის“ გადაწყვეტილება აშშ-ევროპის ტანგოში მესამე სუბიექტად კრემლი შემოიყვანოს, შესაძლოა, სულაც არაა ვაშინგტონის სასურველი გადაწყვეტილება, მაგრამ არის ის რეალობა, რომელსაც ვერც თავად გაექცევა ვერსად და რომლისთვისაც თვალის გასწორება ჩვენც მოგვიწევს.

თუმცა, სულაც არაა გამორიცხული ეს გადაწყვეტილება ვაშინგტონსაც და ევროპასაც ძალიან ძვირად დაუჯდეს, იმაზე უფრო ძვირად ვიდრე თავის დროზე წახალისებული ჰუსეინი, შემგომ გამოძერწილი ბენლადენი და ა.შ. მაგრამ ეს ცალკე განსჯის საგანია.

ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლებას, კარგია ეს თუ ცუდი, რეალურად სხვა არაფერი დარჩენია, რომ საგარეო პოლიტიკურ ფლანგზე „იძულების“ ტაქტიკით იმოქმედოს და ამაში არაფერია სათაკილო — თუ ვერ გამჩნევენ იმდენი უნდა მოახერხო რომ შეგამჩნიონ და გალიარონ.

სხვამ ვერავინ, ვერც სალომე ზურაბიშვილმა თავისი დიპლომატიური გამოცდილებით, ვერც ნინო ბურჯანაძემ თავისი ექსსტატუსებით, ვერც ალასანიამ გაეროში აღჭურვლი პოლიტდიპლომატიური ეტიკეტით ვერ შეძლეს ამ ფრონტზე ქვეყნისთვის სასურველი შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მინიმალური მაგრამ ქვეყნისთვის აუცილებელი საგარეო სტაბილურობა ისევ და ისევ სააკაშვილისა და მისი გუნდის დამსახურებაა.

„თუ ერთ მხარეს მიხეილ სააკაშვილს განვიხილავთ, მეორე მხარეს — აპრილის აქციებში მონაწილე ოპოზიციას, ბრძოლა მიმდინარეობდა ხელისუფლების შეცვლაზე. სააკაშვილი დარჩა ხელისუფლებაში, ოპოზიციამ ვერ მოახერხა მისი შეცვლა. ამ თვალსაზრისით ოპოზიციამ წააგო. მოიგო თუ არა ხელისუფლებამ, ეს კიდევ საკითხავია. უშედეგო არ იყო ეს პროცესი, თუმცა მან ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც უმიზნებდა. ოპოზიციამ მოიგო მეტი ანგარიშგაწევა მის მიმართ, თუმცა არა იმდენად ოპოზიციამ, რამდენადაც ხალხმა“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ზედმეტი განვრცობის გარეშე, აქვე იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ ვერც ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა, თუ ნინო ბურჯანაძის მიერ ოპოზიციაში ადგილის დამკვიდრებას(?!ძ არ ჩავთვლით, ვერ შეძლო დასახული ამოცანის შესრულება. თუმცა იმავე ბურჯანაძისთვის წლის ამოცანა სულაც არ ყოფილა მხოლოდ თვითდამკვიდრება ოპოზიციურ ნიშაში, მას ბევრად სხვა სიმაღლეების დალაშქვრის სურვილი ჰქონდა. არც შალვა ნათელაშვილს, ახალი არაფერი შეუთავაზებია საზოგადოებისთვის გარდა საკუთარი თანმიმდევრულობისა. რაც შეეხება ალასანიას, აქ უფრო მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან ყოფილი ელჩი იმ მეტეორიტს ემგავსება, რომელმაც დიდი ხანია ჩაუქროლა დედამიწას და ორბიტაზე კვლავ დაბრუნებამდე, თუ ასეთი რამ ვარსკვლავების მოძრაობის კანონზომიერებაში ხდება, მხოლოდ მიხეილ ცაგარელს უადვილებს ცხოვრებას და პროგნოზის გაკეთების საშუალებას. ვერც სალომე ზურაბიშვილისთვის, რომელიც აპრილის აქციებისა და ოპოზიციის ერთიანობის სულისჩამდგმელი იყო, არსებული რეალობის გათვალისწინებით წელი წარმატებული ვერ აღმოჩნდა.

რაც შეეხება გუბაზ სანიკიძეს, მან მიმდინარე წელს საზოგადოების მეხსიერებაში კვალი უფრო როგორც კარგმა რიტორმა დატოვა, ვიდრე წარმატებულმა პოლიტიკოსმა.

რაც შეეხება „კინაღამ“ საქართველოს პრეზიდენტს ლევან გაჩეჩილაძეს, მან თავად განაცხადა პოლიტიკოსობაზე უარი და ძმები გაჩეჩილაძეების 2009 წლის მონაგარი ვერანაირად ვერ განიხილება პოლიტიკურ ჭრილში.

სხვა პოლიტიკურ ძალებსა და პერსონებს 2009 წლის მიღწევებთან დაკავშირებით ბევრი არაფერი აქვთ დასაკვეხნი.

# მოგებულ-წაგებულები




**გოჩა მირცხულავა,**
ხი-ეიჩ-ენი

## კოსმოსი და ჩვენ

# რა ელის დედამიწას უახლოეს წლებში?

**ყოველი ახალი წელიწადის დადგომისას უნებურად აღიძრება ფიქრი: რას მოუტანს იგი ახალს თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს ქვეყანას თუ მთელ კაცობრიობას? ამ კითხვის ერთი ასპექტი კი კოსმოსსაც ეხება: ხომ არ გვთავაზობს იგი სიურპრიზებს, უარეს შემთხვევაში კი რაიმე გლობალურ კატასტროფას? ამგვარი შემაკრთობელი პროგნოზები ჩვენს მახსოვრობაში არაერთხელ ყოფილა და მათ ჩვენც გამოვხმაურებივართ: ხან უცნობი კომეტის ჩამოვარდნას წინასწარმეტყველებდნენ, ხან ასტეროიდისას, ხან პლანეტების აღლუმთან თუ დედამიწის ბრუნვის ღერძის უეცარ შერხევასთან დაკავშირებულ კატასტროფებს. ბევრი ამგვარი პროგნოზი უარვყავით ფიზიკურ და ასტრონომიულ კანონზომიერებებზე დაყრდნობით და, როგორც დრო გვიჩვენებდა ხოლმე, სამართლიანადაც. ახლო მომავალშიც ელიან მსგავს კატასტროფას. რა შეგვიძლია ვუთხრათ მკითხველს ამჟამად?**

პირველ რიგში, თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ დედამიწა კოსმოსის უსაზღვროებაში მცურავი ხომალდია და მას მართლაც ემუქრება უმაგალითო მასშტაბის კოსმოსური კატასტროფები, თუმცაღა იშვიათად, მილიონი წლის რიგის პერიოდებით. ასეთები იყო, მეცნიერთა საფუძვლიანი ვარაუდით, 240 მილიონი წლის წინათ ბიოლოგიურ სახეობათა უმეტესობის გადაშენება, მათ შორის ე.წ. ტრილობიტებისა, 65 მილიონი წლის წინათ კი დინოზავრებისა, ორივე შემთხვევაში დაახლოებით 10 კმ ზომის კოსმოსური სხეულის ჩამოვარდნის გამო. ამ და სხვა ისტორიულ კატასტროფათა შედეგად დედამიწაზე წარმოქმნილი 10 და 100 კმ-იანი წრიული კრატერები უკვე ათეულობითაა აღმოჩენილი. მცირე ცთომილები ასეულ ათასობითაა ცნობილი, ბევრი მათგანი ჯერაც აღმოუჩენელია და თეორიულად მათთან შეჯახება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი – ამიტომაც სწავლობენ მათ სპეციალური ასტრონომიური სამსახურები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა გავაზვიადოთ რეალური საფრთხე, მით უფრო, გავავრცელოთ არაფერზე დაფუძნებული ვარაუდები. ასეთი რამ კი ხშირად ხდება.

ჯერ 2010 წლის შესახებ. რაიმე განსაკუთრებული კოსმოსური მოვლენა ამ წელს არ ივარაუდება. ჩვეულებრივები – პლანეტების ხილული დაახლოებანი ერთმანეთთან („შეერთებები“ძ ან მთვარესთან, მზისა და მთვარის დაბნელებები და სხვა – იქნება. მაგალითად, 15 იანვარს მოხდება მზის რგოლური დაბნელება (შუა აფრიკა, ინდოეთის ოკეანე, ჩინეთი; მაქსიმალური ფაზა თბილისის დროით 11 სთ. 10 წთ, თუმცა საქართველოდან, მცირე ფაზის გამო, არსებითად შეუმჩნეველი იქნება, 11 ივლისს კი – მზის სრული დაბნელება, რომელიც წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში, ამერიკის კონტინენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაივლის და ჩვენგან, ცხადია, არ გამოჩნდება, 26 ივნისს მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება, მაგრამ ჩვენ მას ვერ დავინახავთ, რადგან ამ დროს (დაბნელების შუა მომენტია 15 სთ 40 წთძ საქართველოში მთვარე ჯერ არ იქნება ამოსული. არ გამოჩნდება არც 21 დეკემბრის მთვარის სრული დაბნელება (ცენტრალური მომენტი 12 სთ 17 წთძ – ჩვენთან ამ დროს მთვარე ჩასული იქნება. სამაგიეროდ, ვნახეთ მთვარის ნაწილობრივი დაბნელება 2009 წლის ბოლო დღეს – 31 დეკემბერს, რომელიც დასრულდება ზუსტად ახალი წლის დადგომის წინა წუთებში (დაბნელების ხანგრძლივობა სულ 66 წუთიაძ.



ახლა უფრო შემაშფოთებელზე: ინფორმაციის საშუალებები ავრცელებენ მოსაზრებას, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს შესაძლოა მოხდეს მსოფლიო კატასტროფა, რომელიც კაცობრიობის გადაშენებას გამოიწვევს. ამას თითქოსდა რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. განვიხილოთ ისინი მიმდევრობით, რათა ვაჩვენოთ მათი უსაფუძვლობა.



პირველი და მთავარი მტკიცება: ამ დღეს მთავრდება მაიას კალენდრის მორიგი ციკლი, რამაც სამყაროს ახალ სტადიაში გადასვლა უნდა გამოიწვიოს. მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ძველ ინდიელთა ტომებმა მართლაც შექმნეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია და საკმაოდ ზუსტი კალენდარი. იგი იწყება ძვ. წ. აღ. 3113 წლის 13 აგვისტოს. საზოგადოდ, მაიას ხალხების რწმენით, დრო გაყოფილია ციკლებად, რომელთა დასასრულს ნადგურდებოდნენ რასები. გასულია 4 ციკლი, შეცვლილია ადამიანთა 4 რასა. ამ ციკლთა ხანგრძლივობა იყო 4008, 4010, 4081 და 5026 წელი, და ისინი დასრულდნენ, თითქოსდა, მიწისძვრებით, ქარიშხლებით, ვულკანების ამოფრქვევით და წარღვნით. ახლა მიმდინარეობს მეხუთე ციკლი – „მეხუთე შექმნის“ ან „მეხუთე მზის“ ეპოქა, რომელიც 2012 წლის 21 დეკემბერს დასრულდება მორიგი კატასტროფით და მერე დაიწყება „მეექვსე მზის“ ან „მეექვსე შექმნის“ ეპოქა.

რა ითქმის ამაზე? ჯერ ერთი, მაიას ტომთა შეხედულებანიც და ისტორიული გამოცდილებაც ლოკალური იყო და არა მთელი დედამიწის მომცველი. მათი კალენდრის დროითი ციკლებიც მათემატიკური წარმონაქმნია და არაფრით არ ესადაგება სამყაროს ასტრონომიული ევოლუციის ხასიათს: ამჟამად მეტაგალაქტიკა გაფართოების სტადიაშია და ამ კოსმოლოგიური პროცესის ხანგრძლივობა ათეულობით მილიარდი წელია. დედამიწის ევოლუციაში კი ზემოაღნიშნული ციკლურობის მიზეზი არ არსებობს: მთავარი ბიოფაქტორი მზეა, ის კი მილიონობით წელს სტაბილურად ანათებს. მიწისძვრები, ვულკანები თუ წარღვნებიც ლოკალურია და არა პლანეტარული მასშტაბის. ასე რომ, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვენდოთ ამ „კალენდარულ“ დასაბუთებას. მით უფრო, რომ არსებობს კალენდარულ ერათა სხვა მრავალი სისტემა: სამყაროს „შექმნიდან“ (რამდენიმე ვარიაციითძ, რომის დაარსებიდან, ქრისტეს დაბადებიდან („ჩვენი ერა“ძ, მუსლიმანური ერა და ბევრი სხვა, რომლებიც ასევე პირობითია და არაფერი კავშირი სამყაროს ევოლუციასთან არა აქვთ. თვით ასტროლოგებიც კი ძალზე ფრთხილად მსჯელობენ და ვერ ადასტურებენ „რასის დაღუპვის“ მოსაზრებას, მხოლოდ რაღაც ცვლილებებზე ლაპარაკობენ.



მაშ რა გამოიწვევს კატასტროფას? მეორე შესაძლო მიზეზი – ასტეროიდის ჩამოვარდნა, მაგრამ რატომ უნდა დაემთხვას იგი კალენდარული ციკლის დასასრულს? თუ ინტერნეტ-შეტყობინებებს დავუჯერებთ, უკვე 2008 წელს უნდა ჩამოვარდნილიყო 800 მეტრი ზომის ცთომილი, რაც მართლაც გლობალური კატასტროფა იქნებოდა (ტუნგუსკის მეტეორიტი, 1908 წლის 30 ივნისს დედამიწა რომ შეაზანზარა, სულ 50 მეტრი ზომის იყო!ძ. ასტრონომები რეალური გამოთვლებით ადგენენ კონკრეტულ ასტეროიდთა შესაძლო ჩამოვარდნის ალბათობებს და თარიღებს. მაგალითად, ასტეროიდი აპოფიზი, რომლის ზომა 320 მ-ია, ნასას მონაცემებით, ქმნიდა დედამიწასთან შეჯახების საფრთხეს 2029 წლის 13 აპრილს (1 შანსი 17-დანძ, თუმცა დაზუსტებულმა გამოთვლებმა უჩვენეს, რომ ამ დღეს ეს ასტეროიდი ასცდება დედამიწას 25600 კმ მანძილზე. ნახევარკილომეტრიან ასტეროიდს 2004 VД 17-ს აქვს 1:100000 შანსი დედამიწასთან შეჯახებისა 2102 წლის 4 მაისს, 1,1 კმ ზომის ასტეროიდს კი, რომლის აღნიშვნა 1950 ДА, აქვს 1 შანსი 300-დან, რომ დაეჯახოს ჩვენს პლანეტას 2880 წლის 16 მარტს. დაკვირვებები და ორბიტების დაზუსტებები შემდგომშიც გაგრძელდება. ჯერ კი არ არის რაიმე მონაცემები ისეთ ასტეროიდზე, რაც 2012 წელს გვიქმნიდეს საფრთხეს.

მესამე მიზეზი პლანეტების პარადია, ანუ მათი გამწკრივება მზის მიმართ ერთ სწორ ხაზზე. ზუსტი სახით ასეთი მოვლენა უაღრესად იშვიათია, ისეთი შემთხვევები კი, როცა პლანეტათა ნაწილი მოექცევა ვიწრო კონუსში, რომლის წვერო მზეშია, შედარებით ხშირია – ასეთი რამ მოხდა 1982, 1984, 2000 და სხვა წლებში, მაგრამ მას, ისე როგორც უზუსტეს აღლუმსაც, რაიმე დამანგრეველი ქმედებები ვერ მოჰყვება: პლანეტათა სრული მასა მზის მასის მეათასედიც კი არ არის, ასე რომ, მზის გრავიტაციასთან შედარებით მათი ზემოქმედება დედამიწაზე უმნიშვნელოა. ყველაზე მასიური პლანეტები იუპიტერი და სატურნია (პირველი დედამიწაზე 317-ჯერ, მეორე კი – 95-ჯერ „მძიმეა“ძ, ისინი კი ყოველ 20 წელიწადში გამწკრივდებიან ხოლმე ჩვენს მიმართ. 2012 წლის აღლუმიც ნაწილობრივია და არცაა მხედველობაში მისაღები. ის „ცნობა“ კი, რომელიც ინტერნეტში მოვიძიეთ, თითქოსდა პარადები ადრეც ყოფილა, მაგრამ 2012 წლის 21 დეკემბრის აღლუმი განსაკუთრებულია, რადგან ამ დღეს „არა მარტო მზის სისტემის პლანეტები, არამედ სხვა ვარსკვლავთა სისტემების პლანეტებიც ერთ წრფეზე განლაგდებიან და შექმნიან ხიდს გალაქტიკის ცენტრიდან, ამიტომ სამყარო ახალ სტადიაში გადავა“, უბრალოდ ღიმილის მომგვრელია, რადგან ყველა ასტრონომიულ-ფიზიკურ ჭეშმარიტებას უგულებელყოფს. სხვადასხვა ვარსკვლავის პლანეტური სისტემები ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არიან, მათი წევრები მოძრაობენ სხვადასხვა სიბრტყეებში, ვერც წრფეზე განლაგდებიან და, ასეც რომ მოხდეს, იოტისოდენა ცვლილებასაც ვერ გამოიწვევენ გალაქტიკაში და ვერც დედამიწაზე. უახლოესი ვარსკვლავების პლანეტებიც კი 100 000-ჯერ მაინც უფრო შორს არიან დედამიწიდან, ვიდრე იუპიტერი და ნიუტონის კანონის მიხედვით მასთან შედარებით 10 მილიარდჯერ ნაკლებ ზემოქმედებენ ჩვენს პლანეტაზე, გალაქტიკის ცენტრში მყოფნი კი – მათთან შედარებით კიდევ 10 მილიარდჯერ ნაკლებს, ისინი ხომ წარმოუდგენლად დიდ მანძილებზე არიან: მათი სხივები ჩვენამდე 30 000 წელიწადში ძლივს მოაღწევენ! ასე რომ, ეს არგუმენტი სრულიად უსუსურია.

**დაახლოებით ასეა სხვა არგუმენტების შემთხვევაშიც. ასე რომ, 2012 წლის 21 დეკემბერი კოსმოსის თვალსაზრისით წყნარი და შეუმჩნეველი იქნება. ამ მომენტის სიახლოვეს მხოლოდ მზის სრული დაბნელებაა 13 ნოემბერს ანტარქტიკასთან. კაცობრიობას შეუძლია ამ მხრივ მშვიდად იყოს, მაგრამ ის კი უნდა მოახერხოს, თვითონ არ შექმნას კატასტროფული მდგომარეობა მიწიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში...**

**შალვა საბაშვილი,**
**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ.უნივერსიტეტის პროფესორი**

## ინფორმაცია

### ახმეტაში ხე-ტყე მასობრივად იჩეხება

**ახმეტის რაიონში ხე-ტყე მასობრივად იჩეხება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებმა განუცხადეს, გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიურო ეფექტურად ვერ მუშაობს.**

**– ყოველდღიურად ხით დატვირთული 60-70 მანქანა მაინც გადის რაიონიდან. უზარმაზარ ხეებს ჭრიან, მათ შორის ისეთ ადგილებშიც, სადაც ხე-ტყის ჭრა აკრძალულია, – აღნიშნეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა.**

**გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს უფროსის ლაშა ჩივიაშვილის განმარტებით, ახმეტის რაიონში ხე-ტყის ჭრაზე ბევრი ლიცენზიაა გაცემული.**

**– ლიცენზიის მფლობელებს მორები გამოაქვთ და საამქროებში ამუშავებენ. კახეთის სხვა რაიონებთან შედარებით, ახმეტაში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები შედარებით მეტია, რადგან მოსახლეობა ძირითადად შეშით თბება. რაც შეეხება ჩვენი მუშაობის ეფექტურობას, ისევე როგორც სხვა რაიონებში, ახმეტაშიც ინსპექციის ერთი ჯგუფი მუშაობს და უკანონობას ებრძვის, – განაცხადა ჩივიაშვილმა.**

### ლიხტენშტეინელებმა შალაურის ხიდი დააფინანსეს

**თელავის რაიონის სოფელ შალაურში ხიდის რეაბილიტაცია 144 000 ლარით დაფინანსდა. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხა ლიხტენშტეინის ერთ-ერთმა ფონდმა გამოყო.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს რეგიონული განვითარების სააგენტოს დირექტორმა ვალერი გრემელაშვილმა განუცხადა, პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „თემი და გარემოსთან“ ერთად დამუშავდა.**

**პროექტი ნაპირსამაგრ სამუშაოებსა და ხიდის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2010 წლის მაისში უნდა დასრულდეს.**

**შეგახსენებთ, რომ გასული წლის გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს, სოფელ შალაურში ხიდიდან მანქანა გადავარდა და სამი ადამიანი იმსხვერპლა.**

ჯი-ეიჩ-ენი

სამყარო

*2009 წელს მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომლებმაც ახალი ჰორიზონტები გადაუშალეს კაცობრიობას კოსმოლოგიის, მაღალი ენერგიის ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინისა და ალტერნატიული ენერგეტიკის დარგში.*

*ai, მათი არასრული და მეტად სუბიექტური სია მოკლე აღწერით.*

# ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები მეცნიერებაში 2009 წელს

## 1. ყველაზე ადრეული ჰომინიდი

ადამიანის უძველესი წინაპარი აღმოაჩინა წლის დასაწყისში ეთიოპიაში ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა ბერკლის უნივერსიტეტიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოქტორი ტიმ



უაიტი. ეს ჰომინიდი ცხოვრობდა 4,4 მილიონი წლის წინათ. მისი სამეცნიერო სახელწოდებაა – Ardipithecus ramidu. აღმოჩენილი ნაშთები ეკუთვნოდა დედალ არსებას და იგი გამოირჩეოდა დაბალი სიმაღლით – სულ 120 სმ იყო – და ტვინის მცირე მოცულობით. მაგრამ ადამიანის ეს ადრეული წინაპრები გადაადგილდებოდნენ ორ ფეხზე, ამას გარდა არის ანატომიური ნიშნები იმისა, რომ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ ხელოვნური იარაღი.

## 2. ეპიგენომი და მემკვიდრეობა

თითქმის 10 წლის წინათ ადამიანის გენომის გაშიფვრამ წარმოშვა იმის იმედი რომ, გასაგები შეიძლება გახდეს მემკვიდრეობითობის გადაცემის მექანიზმი. მაგრამ კავშირი გენურ სტრუქტურასა და დაავადებას შორის აღმოჩნდა გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ვარაუდობდნენ. წარმოიქმნა გამოკვლევათა მთელი დარგი – ეპიგენეტიკა, რომელიც ითვალისწინებს, რომ კონკრეტული გენების ქცევა ექვემდებარება გარე ფაქტორების ზემოქმედებას და რომ ცვლილებანი მასში გადაეცემა მომდევნო თაობებს. მაგალითად, თამბაქოს წევას ადრეული ახალგაზრდობიდან მიჩვეულები ზრდიან თავისი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების კარდიოლოგიური დაავადებების რისკს. ოქტომბერში კალიფორნიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ადამიანის ეპიგენომის პირველი დაწვრილებითი



რუკა. ეს გახდა ეპოქალური ნაბიჯი ადამიანის მემკვიდრეობითი მექანიზმის ფორმირების გაგებისთვის.

## 3. გენური თერაპია კურნავს მხედველობის დეფექტებს

ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის ოფთალმოლოგების ჯგუფმა პირველად მოახერხა გენური ინჟინერიის დახმარებით გამოევლინებინათ მხედველობის ისეთი სერიოზული დეფექტი, როგორიცაა ფერადი სიბრმავე ან დალტონიზმი. საცდელი შიმ-



პანზეს თვალში, რომელსაც აწუხებდა ეს დეფექტი, მათ შეიყვანეს გენური ნაწური, რომელიც ახდენს იმ ცილების გამომუშავების სტიმულირებას, რომლებიც მონაწილეობენ ფერების ანალიზში. თუ გავითვალისწინებთ, რომ შიმპანზეს მხედველობის მექანიზმი პრაქტიკულად ადამიანისნაირია, ეს ხსნის სენსაციურ შესაძლებლობას უამრავ დაავადებათა მკურნალობისთვის, დაწყებული ახლომხედველობიდან, გლაუკომამდე. ამას გარდა, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ გენურ თერაპიას ოდესმე შეეძლება ისეთი სენსორული უნარის შექმნა, რომელიც ადამიანს ან სუსტად აქვს განვითარებული, ანდა, საერთოდ არ გააჩნია.

## 4. წყალი მთვარეზე – რეალობაა

ნოემბერში საბოლოოდ დადასტურდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მთვარეზე არის წყალი. 9 ოქტომბერს ამერიკის კოსმოსურმა სააგენტო ნასამ მოაწყო ექსპერიმენტი: სპეციალურად გაშვებული ზონდი მიუშვირეს მთვარის ზედაპირს, რომელთანაც შეჯახების დროს ამორჩეული კრატერის თავზე აღიმართა მთვარის, ნიადაგისა და მტვერის სვეტი. დააფიქსირეს წყლის ორთქლიც მიღებულ სპექტრებში – თანაც მისი რაოდენობა განიზომებოდა დეკალიტრებით. ამას შეუძლია მიგვითითოს იმაზე, რომ დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის კრატერებში არის ან წიალისეული, ანდა კომეტური ყინული. რასაკვირველია,



კვლავ წარმოიშვა იმედები მთვარის კოლონიების შექმნისა, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს ძვირფასი ადგილობრივი რესურსი.

## 5. ტელეპორტაცია კვანტურ დონეზე

ფიზიკური სხეულების ელვისებური გადატანა სივრცის ერთი წერტილიდან მეორეში დღემდე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. მაგრამ მერილენდის შტატის კვანტური ინსტიტუტის



მეცნიერებმა შეძლეს ინფორმაციის გადაცემა ერთი ატომიდან მეორეში ერთი მეტრის მანძილზე. ეს, რასაკვირველია, არ არის ნულ-ტრანსპორტირება, რის შესახებაც წერდნენ ძმები სტრუგაცკები. მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენაა კვანტურ ინფორმატიკაში. დადასტურდა, რომ ერთი ატომის თავისებურებანი შეიძლება ელვისებურად გადაეცეს მეორეს, რომელიც განუყოფელი ხდება პირველისგან. ამ აღმოჩენას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სუპერ საიმედო და ზესწრაფი კვანტური კომპიუტერების შექმნისთვის.

## 6. დიდი ადრონული კოლაიდერი

წლის ბოლოს გაჩნდა უდიდესი ექსპერიმენტის პირველი შედეგები მაღალი ენერგიის ფიზიკის დარგში. შვეიცარიაში ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაციის მიერ აგებულმა დიდმა ადრონულმა კოლაიდერმა მიაღწია სამუშაო ეტაპს – 28 ნოემბერს მასზე დააფიქსირეს პროტონების ნაკადი 1,05 ტრილიონი ელექტრონული ვოლტის ენერგიით.

მკვლევარები აპირებენ მიაღწიონ ამ ენერგიის გაზრდას 7-მდე და შედეგად მიიღონ იმის პირობები, რომლებიც არსებობდნენ იმ დიდი აფეთქების პირველ მომენტებში, რის შედეგადაც წარმოიქმნა სამყარო.

სხივთკონების შეჯახებით მაღალი ენერგიის პროტონებთან ფიზიკოსები იმედოვნებენ, რომ აღმოაჩინონ ახალი ელემენტარული ნაწილაკები, მათ შორის ლეგენდარული ხიგსის




ბოზონი, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს სამყაროს ფუნდამენტურ კანონებს.

სხვა მეცნიერებს სურთ მიიღონ სუპერსიმეტრიისა და სუპერძალის თავიანთი თეორიის ექსპერიმენტული დადასტურება.

## 7. ცივი ეგზოპლანეტა თუ წითელი ჯუჯა?

ასტრონომებმა პირველად შეძლეს მიეღოთ დღემდე აღმოჩენილ პლანეტებს შორის ყველაზე ცივი პლანეტა მზის სისტემის გარეთ.

აღმოჩენილი საპლანეტო სისტემა GJ 758 ვარსკვლავის გარშემო, რომელიც ჩვენგან დაახლოებით 50 სინათლის წლით არის დაშორებული და ძალიან მოგვაგონებს მზის სისტემას.

დაკვირვების შედეგად, რომელიც განხორციელდა ახალი კამერის დახმარებით ჰავაის კუნძულებზე, გამოქვეყნდა ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში.




დაკვირვებათა ორი სერიის ჩარჩოებში, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე წლის მაისსა და აგვისტოში ასტრონომიის ინსტიტუტის ასტრონომებმა, აღმოაჩინეს პლანეტა – გაზის გიგანტი, რომლის მასაც 10-40-ჯერ სჭარბობს იუპიტერის მასას.

ამ დროს პლანეტის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა აღწევს 280-370 გრადუსს ცელსიუსით. ეს არაჩვეულებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვარსკვლავამდე მანძილი თითქმის უტოლდება მანძილს მზესა და პლანეტა ნეპტუნს შორის.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს პლანეტა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყავისფერ ჯუჯად, ესე იგი ვარსკვლავად, რომელიც იმყოფება გრავიტაციული შეკუმშვის სტადიაში.

## 8. ელექტრონული ქაღალდი

2009 წელს მოხდა დიდი ხნის ნალოდინარი გარღვევა ელექტრონული ქაღალდის ტექნოლოგიებში. გასაყიდად ჩნდება სულ უფრო მეტი მოწყობილობა კითხვისთვის, რაც ემყარება ერთ-ერთი კალიფორნიული ფირმის პატენტს. ეს ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევენ ავსახოთ შავთეთრი ტექსტი, რომელიც კოდირებულია სხვა-



დასხვა ელექტრონულ ფორმატებში. გამოსახულება გამოდის კონტრასტული და არ არის დამოკიდებული უკანა განათებაზე. ახლოსაა ახალი მიღწევანიც ამ სფეროში – ყველაზე პერსპექტიულად ითვლება ორგანული ბიოდები. ეკოლოგები მიესალმებიან ელექტრონული წიგნების გავრცელებას, მიაჩნიათ, რომ ისინი საშუალებას მოგვცემენ დავზოგოთ მილიონობით ხე, რომლებიც ეწირება ჩვეულებრივი ქაღალდის წარმოებას.

## 9. 48 ბირთვული მიკროპროცესორი

კორპორაცია ინტელმა მიიღო ახალი თაობის მიკროჩიპის ექსპერიმენტული ნიმუშები 48 ბირთვით ანუ ფენით. კომპანიის პრესრელიზში მას უწოდებენ „ერთ-ერთ



პროცესორს, რომელიც მთელ კომპიუტერს შეცვლის“. ამ პროცესორის გამოთვლითი სიმძლავრე 10-20-ჯერ გადააჭარბებს ორბირთვიანი მიკროჩიპების პარამეტრებს, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ პერსონალური კომპიუტერების ახალი თაობა, რომელიც ადვილად თავსდება კლოუდ კომპიუტინგის კონცეფციაში ან მონაცემების დამუშავებაში ქსელურ რესურსებში.

## 10. ტელეპათია სხვა საშუალებებით

ამერიკის არმიამ 4 მილიონი დოლარი გამოყო ჩაფხუტის შესაქმნელად, რომელიც აღიქვამს თავის ტვინის სიგნალებს და გადასცემს მას კავშირგაბმულობის ქსელით. უკვე მიღებულია პირველი პრაქტიკული შედეგები, რომლებიც სავსებით საკმარისია ინვალიდების ტექნიკურ საშუალებათა დამმუშავებლებისთვის – მაგალითად, მოწყობილობა, რომელიც გადაფურცლავს წიგნის გვერდებს პარალიზებული ადამიანის გონების ზემოქმედებით. ამერიკის სამი უნივერსიტეტი მუ-




შაობს ამ იდეის განხორციელებაზე, ისინი იკვლევენ ჩაფხუტის სუსტ ელექტროსიგნალებს, რომლებიც ჩაფხუტის გადამცემში შემოდიან.

## დედამიწის ზურგზე




**დუბაიში იხსნება მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა**

2 მილიარდზე მეტ ტელემაყურებელს შეუძლია თვალყური ადევნოს ცათამბჯენებს შორის ახალი რეკორდსმენის გახსნის ცერემონიალს – „ბურჯ დუბაის“ სიმაღლეა 818 მეტრი. კოშკს აგებდა 14 ათასი მუშა ხუთი წლის განმავლობაში, მის საფუძველთან 24 ჰექტარზე განლაგებულია ტბა შადრევნების კასკადებით.

* * *



**ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბრაუნი მიჩნეულია მსოფლიოში „ყველაზე ცუდად ჩაცმულ“ კაცად**

ბრაუნმა „მოდების“ შეჯიბრებაში წააგო. ეს შეჯიბრება მოაწყო ჟურნალმა „გექიუ“. ბრაუნმა წააგო არა მხოლოდ ოპოზიციის ლიდერთან, არამედ სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებთანაც: საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან და კიმ ჩენ ირთანაც კი.

* * *

**ინდოეთის აღმოსავლეთში ჩაიძირა გემი, 18 კაცი უგზოუკვლოდაა დაკარგული**



გემი, რომლის მგზავრებიც 29 კაცი იყო, ჩაიძირა მდინარეში ინდოეთის აღმოსავლეთით. 18 კაცის ბედი, მათ შორის 7 ბავშვია, ჯერჯერობით უცნობია. ინციდენტი მოხდა ორშაბათ ღამით ქალაქ კოლაგატის რაიონში.

* * *

**ახმადინეჟადი დუშამბეში ჩავიდა**

ირანის პრეზიდენტი ორდღიანი ვიზიტის დროს მოინახულებს სანგტუდის ჰიდროელექტროსადგურ-2-ის მოედანს, რომლის მშენებლობასაც აწარმოებს ირანის კომპანია. ირანი – ტაჯიკეთის სიდიდით მეექვსე სავაჭრო პარტნიორია. ახმადინეჟადმა ბოლო დროს ტაჯიკეთი მოინახულა 2008 წლის აგვისტოში, ემომალი რახმონი კი თეირანში იმყოფებოდა 2009 წლის მარტში.

* * *

**უკრაინაში სტარტს იღებს ტელედებატები – იუშჩენკოს, ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის გარეშე**

საარჩევნო კამპანია უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებისთვის დასკვნის ფაზაში შედის – ეროვნულ ტელეარხზე იწყება პრეზიდენტობის კანდიდატების ტელედებატები. პოსტის ძირითადი პრეტენდენტები უგულებელყოფენ დისკუსიებს პირდაპირ ეთერში.



◉ რევაზ მიშველაძე – 70

# ჩვენთვის გადმოგდებული ხელთათმანი



**რევაზ მიშველაძის ნოველისტიკაზე ლიტერატურული წერილი დავწერე და, ვიდრე გამოვაქვეყნებდი, წავაკითხე, ჩვეულებრივ ჩემს კრიტიკულ ადრესატს ფაქტის წინაშე ვაყენებ ხოლმე, ოღონდ ამჯერად რატომღაც ჩვეულებას ვუღალატე.** წაიკითხა, არც ერთ შენიშვნაზე უარყოფის ნიშნად თავი არ გადაუქნევია, არც ერთ კრიტიკულ მოსაზრებაზე კრინტი არ დასცდენია! ის დებულება კი, სადაც სხვათა ზეგავლენით მივუთითებდი, „დოღი“ ფრანგი ნოველისტის პიერ გასკარის „ცხენების“ მიხედვით შექმნილი უნდა იყოს-მეთქი, უსიტყვოდ გადაშალა. მეც აღარაფერი მითქვამს. გულში კი ამოვიხვნეშე: ამ საკითხს საგანგებოდ შევისწავლი და, თუ რაიმე ზეგავლენის კვალი დავატყვე, მაშინ კი მიფრთხილდი-მეთქი! ორივე ნოველა არაერთხელ წავიკითხე; იდეას, შინაარსს, მხატვრულ სტრუქტურას ჩავუკვირდი და დავრწმუნდი: მსგავსი სიტუაციის შემთხვევითი დამთხვევის მეტი მათ არაფერი ჰქონდათ საერთო – ორივე პერსონაჟი ცხენებს ტყვეობიდან ათავისუფლებს; მაგრამ მე გამაოცა სხვა გარემოებამ: პიერ გასკარის ოდნავ ბუნდოვან, რამდენადმე გაჭიანურებულ, საკმაოდ ტრივიალურ ამბავს რაოდენ დაშორებია „დოღის“ იდეური შინაარსიცა და გამოსახვის ცალკეული საშუალება: იუმორი, სიტუაციის კომიზმი. პიერ გასკარი ტრაგიკული ნოტების მომარჯვებით გვიყვება პერსონაჟის ტრაგედიაზე, რევაზ მიშველაძე კი კომიკურ-იუმორისტული ნოტების შემწეობით გვიამბობს პერსონაჟთა ტრაგედიაზე და ეჭვი აღარ გრჩება, რომ მხატვრული თვალსაზრისითაც გაცილებით შორს წასულა.

ერთხელ კი... შორს არ წასულა – ჩემსას მოვიდა. ზამთარი იდგა და ჩემგან წასულს ცალი ხელთათმანი დარჩენოდა (თუ განგებ დაეტოვებინა?!). და მე დღესაც არ ვიცი, ეს ლიტერატურულ დუელში გამოწვევას მოასწავებდა თუ მის გულმავიწყობას (იქნებ, სულაც იუმორს?). და მე ვერ წარმომიდგენია, რა უნდა დავუპირისპირო იმ კაცის ნოველებს, რომლებიც ჩემს გრძნობებზე ისე უკრავენ, როგორც კლავესინზე. ბოლოს და ბოლოს, მერამდენედ ვეკითხები ჩემს თავს: – რა დარჩება მისგან? და პასუხიც, თითქოსდა, ერთია: – დარჩება ნოველათა სქელტანიანი წიგნები, როგორც მრავალფეროვანი წელიწადები, რომლებშიც დროთა და სახეთა ყველა ფერი და გარდამავალი ტონია დაჭერილი და კიდევ ჩვენთვის, მწერალთა მომდევნო თაობებისათვის, ნებსით თუ უნებლიეთ გადმოგდებული ხელთათმანი.

**მურმან თავდიშვილი**

◉ რეზონანსი

***„საქართველოს რესპუბლიკის“ 28 ნოემბრის ნომერში, „კვირაძალის საკითხავის“ გვერდებზე გამოქვეყნდა ლიტერატურათმცოდნე ნინო ხოფერიას პუბლიკაცია „ბატონი გოგი დოლიძის „ღია წერილების“ პასუხად“. რედაქციამ ე. წ. პასუხის პასუხიც მიიღო, რასაც დიდი სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველს.***

# მესამე ფრონტიც გაიხსნა,

## ანუ პასუხის პასუხი ქალბატონ ნინო ხოფერიას

ქალბატონო ნინო,

დიდი მადლობა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოიღეთ მოწყალება და პასუხის ღირსი გამხადეთ. დიდი მადლობა.

რაღა რაინდი ვიქნებოდი, ქალბატონო ნინო, მართლაც რომ მჭირდებოდეს „რაინდული მორალის“, „რაინდთა დაუწერელი კანონების“ შეხსენება, რითაც ასე მაცდუნებლად მმოძღვრავთ ბარათის ბოლო აბზაცში. ამდენად, თუ, ერთი მხრივ, გული მწყდება ამაზე, მეორე მხრივ, მხიბლავს თქვენი სურვილი (მოწოდება თუ არა), რომ რაინდად გინდათ მიხილოთ. დიდი მადლობა, ქალბატონო ნინო, თუნდაც ამიტომ ღირდა ეს ექვსი თვის ლოდინი...

რაინდი რომ არ ვიყო, არც სამ ფრონტს გამიხსნიდნენ ბოლო ერთ თვეში (ნოემბერი, 2009) ჩვენს მედიაში: პირველად ის ვაი-კინომცოდნეები ამიხირდნენ – ლადო გუდიაშვილი რომ კინოოპერატორი ჰგონიათ და თენგიზ აბულაძე – პროდიუსერი (იხ. გაზეთი „ალია“, 3-4.XI. და ჩემი პასუხიც „ასავალ-დასავალში“, 14.XII და 21.XII), მეორე ფრონტით ზურგიდან შემომიტიეს იმ ვაი-ჩოხოსნებმა, ყაბალახის გაკეთებაც რომ არ იციან და სიმონ ჩიქოვანი ალექსანდრე აბაშელისგან ვერ განურჩევიათ (იხ. ინტერნეტში ჩანაწერი – TV „მაესტრო“, „საკანი №5, 13.XI და ჩემი პასუხი გაზეთ „რეზონანსში“, 24.XI) და აი, ნოემბრის ბოლოს, 28-ში ჩემ საყვარელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მესამე ფრონტიც გაიხსნა თქვენი წერილით, რომელსაც იმ იმედით ამთავრებთ, რომ „ბატონი გოგი ჩემს საპასუხო წერილს ისე გამოიყენებს, როგორც რაინდული მორალი და რაინდთა დაუწერელი კანონები უკარნახებს“.

ჭეშმარიტად, ქალბატონო ნინო, ჭეშმარიტად – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენი რაინდი არ გაგაწბილებთ. ეს მხოლოდ რეპლიკაა, ხოლო წერილი მაშინ იქნება, როცა პირველ ორ ფრონტს შევმუსრავ და იმ ბეჩავი მტერუკანების თავებს (ცხადია, ფიგურალური გაგებით) ფეხქვეშ გაგიგორებთ, ახალა კი იარაღაყრილი მოვდივარ თქვენთან და... გნებდებით.

თქვენი რაინდი
**გოგი დოლიძე**

***P. S.* *ისე, გენიალური მიხო ხელაშვილის არ იყოს – „მტერიც არ შემხვდა მტრისფერი, ვარ უბედური დღისაო“ – გ. დ.***

◉ ანაბრები

# როსდა გველირსოს კომპენსაცია?



**რუსეთის საინფორმაციო წყაროებმა გასული წლის 30 დეკემბერს გაავრცელეს ინფორმაცია 2010 წელს რუსეთის მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ბანკის (სახბანკის) „რეფორმამდელი“ ანაბრების კომპენსაციის გაცემის შესახებ.**

**ანაბრების გაცემის წესი ასეთია:** 1945 წლამდე დაბადებულ რუსეთის მოქალაქეებს და მათს მემკვიდრეებს კუთვნილი ანაბრების კომპენსაცია 2010 წელს მიეცემათ 1991 წლის 20 ივნისის მდგომარეობით სახბანკში არსებული მათი ანაბრების ნაშთის **სამმაგი ოდენობით,** 1991 წელს არსებული ფულადი ნიშნების ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე. კომპენსაციის ოდენობა მცირდება ადრე გაცემული წინასწარი კომპენსაციითა და დამატებითი კომპენსაციით.

1946-1991 წლებში დაბადებულ მოქალაქეებს და მათ მემკვიდრეებს კომპენსაცია მიეცემათ 1991 წლის 20 ივნისისათვის სახბანკში მათი ანაბრების ნაშთების **ორმაგი ოდენობით**. კომპენსაციის ოდენობა ამ შემთხვევაშიც მცირდება ადრე მიღებული გასაცემლების ოდენობით.

მეანაბრეებს (მათს მემკვიდრეებს ან მათ წარმომადგენლებს (მინდობილობით) კომპენსაცია მიეცემათ სახბანკის განყოფილებებში, ანაბრების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ამასთანავე, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კომპენსაციები გაიცეს 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „რუსეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიაში“ არსებულ სადაზღვევო შენატანებზე.

მოამზადა
**ამირან გაბისონიამ**

◉ მათქმევინეთ!

**იმერლებზე, კახელებზე, ქართლელებზე, რაჭველებზე და სხვებზე აუგის მთქმელს რა ვუთხარი, მაგრამ თქვე დალოცვილებო! ქვევრს რომ აკეთებთ, ადექით და განიერი ყელი გაუკეთეთ, ხომ ხედავთ რომ, კაცი იჭედება. ახლა კიდევ ქართული დემოკრატია გაიჭედაო.**

ამტკიცებენ, ქართული დემოკრატიაც ზუსტად ისეა გაჭედილი ქვევრში, როგორც აბესალომი იყო. თავი გარეთაა, ქვეყნის დემოკრატიზაციის თავკაცები გარეთ არიან, ისინი დაფრინავენ ბრიუსელში, პარიზში, ჟენევაში, სვამენ სათავკაცებმა ევროპას. რადგან ვერ უმტკიცებენ, ე. ი. ქვეყნის თავკაცებს თავებში თავიდანვე რაღაც სხვა უტრიალებდათ. ზოგიერთების მტკიცებით, ამერიკული დოლარები უტრიალებთ მათ თავებშიო.

მაგრამ სიტყვა გაგვექცა და დაუკრეფავში გადავედით...

იმის თქმა გვინდა, რომ ქვევრიდან დემოკრატიის ტანის გამოყვანა არა მარტო საჭირო არ არის, არამედ სახიფათოცაა.

რატომ?

იმიტომ, რომ –

დემოკრატია ლოზიოობა არ არის.

რომ არ ყოფილიყო ლავრენტი პავლოვიჩი და ძმანი მისნი, არ შეიქმნებოდა ისეთი დიდი მხატვრული ნაწარმოები, როგორიცაა მონანიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დემოკრატიის ტანი ქვევრიდან გამოვათრიეთ, ე. ი. ჯინი ბოთლიდან ამოვუშვით, ქვეყანაში დაიწყება ანარქია (დიახ, უარესიც) და როგორც წამალი, ისე საჭირო გახდება XXI საუკუნის ლავრენტი პავლოვიჩი.

არავინ იფიქროს თითქოს მე და ჩემს მეგობრებს ძალიან გვინდა XXI საუკუნის ლავრენტი პავლოვიჩის მოსვლა. ჩვენ, ან

# ქვევრში გაჭედილი ქართული დემოკრატია

## შავგოგიას გაბრაზების გვეშინოდეს?

კითხს მაპის მისაღებად, ნატოში გასაწევრებლად, ტანი კი – რიგითები, არაპოლიტიკოსები – ქვევრშია გაჭედილი. არ გვშველის არც ლაუაზიეს და არც სხვისი კანონები.

ქართველმა მანდილოსნებმა რომ დაინახეს ჩვენი გასაჭირი, დახმარება მოინდომეს. დემოკრატიის ტანმა ხელები მხრებზე დაგვაწყოს და ჩვენ გამოვქაჩავთო, ხომ იცით თუ ქალმა გაიწია, რას იზამსო. მაგრამ ასეთი დახმარება ხელს არ გვაძლევს. ყველა რომ მაროსავით ჯანიანი არ არის, ზოგმა, ნაზი მხრების პატრონმა, რომ მოინდომოს დემოკრატიის გამოქაჩვა ქვევრიდან, რაღაც მარცხს გადაეყრება, მერე კი წინაპრები საფლავებიდან ამოგვძახებენ: „ვაი ქალს ცუდი ყმისასა“.

ჩვენ რომ ვინმემ გვკითხოს, ჩვენი, რიგითების აზრით, არც არის აუცილებელი დემოკრატიის ტანის ქვევრიდან გამოყვანა, თავი ხომ გარეთაა, ქვეყნის თავკაცებს ხომ აქვთ დემოკრატიის ყველა სიკეთე, ე. ი. ქვეყანაში უკვე არის დემოკრატია და რაღა უნდათ ევროგაერთიანებებს და სხვებს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება როგორ ვერ უნდა დაუმტკიცონ ქვეყნის

თავის დროზე ჯაბა იოსელიანს რომ არც გავეფრთხილებინეთ, რომ დემოკრატია ლოზიოობა არ არის, ჩვენ, ვისაც ორიოდე წიგნი გვაქვს წაკითხული, ისედაც ვიცოდით, რაც მოხდებოდა.

ვიცით, რომ 1920-1930 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანზე, ვოლგისპირეთში, საქართველოში და სხვაგან დაქროდნენ შეიარაღებული ბანდები (ანარქისტები) და გაჰყვიროდნენ: ურტყით წითლებს, სანამ ისინი არ გათეთრდებიან; ურტყით თეთრებს, სანამ ისინი არ გაწითლდებიან, რომ მივიღოთ ნორმალური საზოგადოებაო, ღვრიდნენ საკუთარ და სხვების სისხლს სრულიად უაზროდ. შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში ლავრენტი პავლოვიჩი და ძმანი მისნი, რომლებმაც დააწყნარეს ქვეყანა, „შრომის ზეიმში ჩააბეს ყველა“.

მგონი კვლავ დაუკრეფავში გადავედით.

ვაცხადებთ, რომ ჩვენ ლავრენტი პავლოვიჩის დამსახურებას თუ მოღალატეობას „არც ვადასტურებთ და არც უარვყოფთ“. ჩვენ უბრალოდ ვახდენთ ფაქტების კონსტატაციას. ისე, რადგან სიტყვამ მოიტანა, თქვენ ვინ შეგვეკითხება? შესაძლებელია ქვევრიდან დემოკრატიის ტანი თავისით განთავისუფლდეს თუ... შავგოგია გაბრაზდება!

მოვლენები თუ ისე განვითარდა, როგორც ვითარდება, შავგოგია აუცილებლად გაბრაზდება: ის წიხლს წაჰკრავს უცხოურ ინვესტიციებს და დახმარებებს, ქვეყნის თავკაცებს დაუყვირებს: გაეთრიეთ ჩემი ეზოდან, არ გამიგია ქვევრის (დემოკრატიის პრინციპების) ასეთი წაბილწვაო, მივარდება ქვევრს, გამოაგორებს გარეთ, დააგორებს ფერდობზე, ქვევრი დაიმსხვრევა, ჯინი განთავისუფლდება და XXI საუკუნეში ლავრენტი პავლოვიჩი, როგორც ჟანგბადი, ისე დაგვჭირდება.

შავგოგია არ უნდა გაბრაზდეს!

ჩვენ არ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, რომ შავგოგია არ გაბრაზდეს და როგორც ჩანს, არც თქვენ გცოდნიათ „რაა საკეთებელი“.

თქვენ რომ იცოდეთ რაა საკეთებელი, ქვეყანა ამ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.

შავგოგიას გამწარების გვეშინოდეს, ხალხო!

**ნუგზარ კოზახიძე**

◉ ჭადრაკი

# ბრძენთა თამაშის მოწინავენი

**დეკემბრის მიწურულს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატთა რეიტინგ-ლისტები გამოაქვეყნა.** ვაჟთა პირველ ასეულს 2810 პუნქტით ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი უდგას სათავეში. ქართველთაგან ტოპ-ასეულის წევრია ბაადურ ჯობავა (2704ქ, იგი რეიტინგში ოცდამეთორმეტეა, სამაგიეროდ, ჩვენებურთა ათეულს მეწინავეობს, რომლის შემადგენლობაში შედიან ზურაბ აზმაიფარაშვილი (2637ქ, მიხეილ მჭედლიშვილი (2634ქ, თორნიკე სანიკიძე (2615ქ, თამაზ გელაშვილი (2614ქ, ლევან ფანცულაია (2598ქ, ზვიად იზორია (2592ქ, გიორგი ყაჭეიშვილი (2582ქ და დავით არუთინიანი (2566ქ.

ქალებში მსოფლიოს საუკეთესო ასეულის უცვლელი ლიდერია უნგრელი იუდით პოლგარი (2682ქ. მეთერთმეტე ადგილზეა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (2514ქ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: 14. ნანა ძაგნიძე (2506ქ, 19. ლელა ჯავახიშვილი (2493ქ, 33. ბელა ხოტენაშვილი (2461ქ, 49. სოფიკო ხუხაშვილი (2438ქ, 53. სალომე მელია (2431ქ, 59. ნინო ხურციძე (2414ქ, 64. ანა მათნაძე (2407ქ, 68. თამარ წერეთელი (2403ქ, მაია ლომინეიშვილი (2371ქ და 98. ნონა გაფრინდაშვილი (2360ქ.

20 წლის ჭაბუკთა ოცეულშიც



მაგნუს კარლსენია პირველი. წარმომადგენელი აქ არ გვყავს. ამავე ასაკის გოგონებში ჩინელი ჰოუ იფანია (2590ქ მიუწვდომელი. ქეთი წაწალაშვილს (2312ქ, რომელმაც შარშან მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, მე-17 ადგილი უკავია.

**ლექსო ცინცაძე**

◉ საბრძოლო ხელოვნება

# ბოლო აკორდი

**განვლილი სეზონის დამაგვირგვინებელ პრესტიჟულ ღონისძიებას – სამხრეთ ევროპის ჩემპიონატს დიდუბის მძლეოსნობის სასახლემ უმასპინძლა. უნივერსალური და ორიენტალის (განსაკუთრებული ორთაბრძოლებისძ ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი სოსო დოლიძეძ მიერ ორგანიზებულ დიდი პრიზის გათამაშებაში საქართველოს, ირანის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩვენს თანამემამულეთაგან სამ ასაკობრივ ჯგუფში გამართული ბატალიების ჩემპიონები გახდნენ:**



ანზორ კვანტრიშვილი (54 კგ. თბილისიძ, გიორგი ჭილლაძე (60 კგ, გორიძ, დავით რიკაძე (71 კგ, ხაშურიძ – იუნიორებში; გიორგი ჯავახიშვილი (63 კგ, ხაშური), გოგა მირაქოვი (75 კგ, თბილისიძ, დავით ნინიაშვილი (91 კგ, გორიძ და ალიკ თეცეტაშვილი (გორი, მძიმე წონაძ – უფროსებში.

გამარჯვებულთა უმაღლესი სინჯის მედლებით, პროფესიონალთა ოქროს ქამრებითა და სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შემდეგ გამოვლინდა 2009 წლის შესანიშნავი შვიდეული: თემურ ღლონტი, ვლადიმერ ჯანეზაშვილი, დავით ნინიაშვილი, გიორგი ჭილლაძე, ანზორ კვანტრიშვილი, რევაზ ქელდიშვილი და გოგა მირაქოვი.

დავძენთ, რომ თანადგომისთვის სპორტის აღნიშნული სახეობის ფედერაცია მადლობას უხდის თავდაცვის სამინისტროს, გორის გამგეობას, საბრძოლო ხელოვნებათა საბჭოს (კახა ბასილიაძ და მძლეოსნობის სასახლის დირექტორს ბატონ გივი ბედოშვილს.

◉ წლები

# როთულ საქმეს შეჭიდებული

**შრომამაც ვერ გაცვითა...**

**სჯობს, ადამიანი გაცვდეს შრომისაგან, ვიდრე ობი მოიკიდოს უქმად ყოფნისა და დროჟამისაგან**

***პლატონი***



**დღეს, 5 იანვარს, დაბადებიდან 75 წელიწადი შეუსრულდა ქართული სპორტის ერთ-ერთ გამორჩეულ მსახურს ვლადიმერ გოიაშვილს.**

**დიდია მისი დამსახურება ჩვენს ქვეყანაში საწყლოსნო სპორტის სახეობათა განვითარების საქმეში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. იგი წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტში ზემოაღნიშნულ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს. შემდეგ გადაიყვანეს ყველაზე პრესტიჟულ მშენებარე ლაგუნა ვერეს სპორტული კოპლექსის დირექტორად, სადაც დაუღალავად, ახალგაზრდული შემართებით დღემდე აგრძელებს მუშაობას. ბატონი ვლადიმერი წლების განმავლობაში სათავეში ედგა საწყლოსნო სპორტის სახეობათა ეროვნულ ფედერაციას. ის ხომ ახალგაზრდობიდანვე ეზიარა სპორტს და დღემდე არ უღალატია მისი იდეალებისთვის.**

**ბატონ ვლადიმერ გოიაშვილის დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე იყო სირთულეები, გაუთვალისწინებელი პრობლემები, მაგრამ ის ისეთი პიროვნება გახლავთ, რომელსაც ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ისე როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალებს ჩვევიათ და ხელეწიფებათ.**

**წლებს და რთულ ცხოვრებას ოდნავადაც არ შეუცვლია ვლადიმერ გოიაშვილი. იგი დარჩა ერთგულ, უღალატო, ყურადღებიან მეგობრად.**

**დღეს მისი დაბადების დღეა.**

**დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებ! სულის სიმხნევე და იმედიანი განწყობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ჩემო ვლადიმერ!**

**ვლადიმერ კანკავა,**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციისა და სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

◉ ოლიმპიზმი

## ვანკუვერში მოციგავეც გვეყოლება

**ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა, სალიცენზიო ტურნირზე მსგავს წარმატებას მიაღწიეს ყინულზე მოცეკვავეებმა – ოთარ ჯაფარიძემ და ალისონ დინ რიდმა, რომელმაც ამას წინათ საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.** სამთო მოთხილამურე იასონ აბრამაშვილმა საერთაშორისო ტურნირებში წარმატებული გამოსვლით ოკეანის გაღმა გასამგზავრებელი ორი საგზური დაიმსახურა (ერთის ვინაობა იანვრის ბოლოს გახდება ცნობილიძ. ვანკუვერში იასპარეზებს სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაურიც. დეკემბრის მიწურულს მათს რიგებს შეუერთდა მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი. საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციიდან სეოკში დასტურის წერილიც მოვიდა.

ზამთრის ოლიმპიადა 12 თებერვალს გაიხსნება საზეიმოდ. დარჩენილ დროში გამორიცხული არ არის, საქართველოს ოლიმპიელთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს.

**მანანა ხატიაშვილი**

◉ სანთელი

# გვახსოვხარ, ელდარ!



**რამდენ ფოტორეპორტიორთან არ მითანამშრომლია, მაგრამ ელდარ მალხაზიშვილი მაინც სხვა იყო – გვითხრა ამას წინათ ერთმა ამაგდარმა კალმოსანმა.**

**დიახ, სამწუხაროდ, იყო – ჩვენი ძვირფასი მეგობარი უკვე წელიწადია, უკვდავების ბინადარი გახდა და მარადიული გულისტკივილი დაგვიტოვა.**

**მას ერთ-ერთ სახელოვან შემოქმედებით კოლექტივთან ერთად მთელი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი და ჟურნალისტთა ამქარს მოგვიანებით შეუერთდა, მაგრამ ისევ იმ უპრეტენზიო, ხალას პიროვნებად დარჩა, რითაც ყველა კოლეგისგან გამოირჩეოდა.**

**შარშან ახალი წლის დღეებში რედაქციაში შემოგვიარა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სითბოთი მოგვიკითხა, მოგვილოცა 2009 და დაგვემშვიდობა. თურმე სამუდამოდ – ეტყობა, სათნო გული უგრძნობდა რაიმე ფარსაგს.**

**აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.**

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

◉ ინტერნეტიდან

## ძვირი თუ ძვირფასი?

**ევროპის ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების ყველაზე ძვირ (ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ ვიტყვით – ყველაზე ძვირფასძ ფეხბურთელებად აღიარეს არგენტინელი ლიონელ მესი „ბარსელონადან“ და პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ „რეალიდან“ – თითოეული მათგანის სატრანსფერო ფასმა შეადგინა 70 მილიონი ევრო. მესამე ადგილზე ბრაზილიელი რიკარდო იზეკსონ დოს სანტოს ლეიტე – იგივე კაკაა. 60 მილიონ ევროდ რომაა შეფასებული.**

ძვირების თუ ძვირფასების ათეულში ასევე შედიან: სტივენ ჯერარდი, ანდრეას ინიესტა, ხავიერ (ხავიძ ერნანდეს კრეუსი (თითოეულის ღირებულება 50 მილიონი ევროაძ, ზლატან იბრაგიმოვიჩი და ფერნანდო ტერრესა – 46 ევროდ შეფასებულნი, აგრეთვე, დავიდ ვილია და ფრენკ ლემპარდი – 45-45 მილიონი ევრო რომ „ღირან“.



## სამხრეთამერიკული „დაკარი“

**უკვე მეორე წელია, რაც აფრიკული ავტორალი „დაკარი“ სამხრეთ ამერიკაში „გადაცხოვრდა“ და ახლა მას არგენტინა და ჩილე მასპინძლობს.**

2010 წლის პირველ იანვარს არგენტინის დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე აღმართულ 67-მეტრიან ობელისკთან აილო სტარტიდ მეორე ამერიკულმა „დაკარმა“. მასში 50-ზე მეტი ქვეყნის მრბოლები მონაწილეობენ, მისი მარშრუტი კი 9030 კილომეტრია. მარშრუტი დაყოფილია 14 ეტაპად.

შეჯიბრება ოთხ კატეგორიაში მიმდინარეობს, რაშიც ჩართულია 50 სატვირთო, 138 მსუბუქი ავტომანქანა, 184 მოტოციკლეტი და კვადროციკლონი. ფინიში 17 იანვარს ბუენოს-აირესში შედგება. აღსანიშნავია, რომ აფრიკა ისევ ოცნებობს „დაკარის“ დაბრუნებაზე.



## სასაცილოდ არ ეყოფოდა

**ცნობილი ინგლისელი ლამაზმანი, მრავალი გულის მპყრობელი და ფეხბურთელების მოყვარული დანიელა ლოიდი ერთი წლის წინათ ალბათ სიცილით „გაიგუდებოდა“, თუ კი ეტყოდნენ, რომ ცოტა მორჯულდებოდა და გათხოვდებოდა კიდევაც.**

ის ბრიტანეთში ცნობილია ფეხბურთელებთან რომანებით. ჯერ ტედი შერინგემი იყო, შემდეგ ჯერმენ დეფო, მარკუს ბენტი, არმან ტრაორე, ხერარდ პიკე და რაიან ბაბელი.

2009 წელს კი დანიელმა თავისი დიდი სიყვარული იპოვა – ერთობ საშუალო ნახევარმცველის ჯეიმი ო' ხარას სახით; დეკემბერში კი ისინი დაქორწინდნენ.

როგორც ჩანს, ლამაზმანს ძალზე დაეხმარა შარშანდელი ჩაცმულობა, რომელიც მხოლოდ ტრუსებისა და წითელი ჩაჩისგან შედგებოდა. ღმერთმა წლეულსაც გაუმართლოს!



◉ უჟურე შენ!..

# უკონტროლო მეფობა და დაუსჯელი ბლეფობა...

**ჩვენს პრეზიდენტს – მიხეილ (მიშა, მიშიკოძ სააკაშვილზე მოგახსენებთ – დროდადრო დამატებითი საკონტროლო ჭია აუფუთფუთდება ხოლმე და ესა თუ ის საქმე თავის კონტროლზე აჰყავს (თითქოს უმიხეილოდ – ესეც მოგეხსენებათ – მზე მოდიოდეს საქართველოში ან სადმე ლენტი იჭრებოდეს უმიხეილოდ...ძ. ბოლოს ამგვარი რამ ქუთაისში ავადსახსენებელი აფეთქებისა და თანმოყოლილი ტრაგედიის გამო მოხდა.**

ჩემი უმეცრებით კარგად კი არ მესმის, თუ როგორია პრეზიდენტისგან საქმის საგანგებო კონტროლზე აყვანის მექანიზმი; სამაგიეროდ, მშვენივრად ვხედავ, თუ **პირველ რიგში ვინ არის გასაკონტროლებელი: თავად პრეზიდენტი!** ბატონ მიხეილს რომ მაკონტროლებელი ჰყავდეს, ადრინდელ არაერთ ცელქობაზე რომ არა ვთქვათ რა, არც 2008 წლის აგვისტოს კატასტროფა დატრიალდებოდა და არც ქუთაისური უბედურებები.

ამ ბედშავ ქვეყანაში მაგის გამაკონტროლებელი არცვინ და არცრა რაკი არა ჩანს, ეგებ საკუთარი თავი თვითონვე აიყვანოს სპეცკონტროლზე და როცა საავკაცოდ გაქაჩვა მოეპრიანება, გრძელი ხელით მოქაჩოს; და რაკი შარშანდელი წელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ავტოკონტროლი იმით დაიწყოს, რომ დაათვლევინოს, თუ რამდენი დახარჯა 2009-ის სიგრძეზე თავის საყვარელს თავს, გინდ ლარებში, გინდ დოლარებში, გინდ ევროებში; მერე იმაზე დაფიქრდეს, თუ დახარჯული ზღაპრულ-საარაკო თანხის სანაცვლოდ რა მოუტანა ხალხსა და ქვეყანას...

არა, პრეზკონტროლი ნამდვილად საჭიროა, თორემ 2013 წლამდე გრძელკიდურებიანი და ენაუხვი მამა-მარჩენალისთვის ბევრი დრო და გრძელი ასპარეზია საქმეთა საკვირველთა ჩასადენად...

ავტორის დამოკიდებულება მიხეილ (მიშა, მიშიკო) სააკაშვილის პრეზიდენტობისადმი წერილის სათაურითაა გამოხატული...

**ლუკა გორგაძე**

◉ ჩვენებურებზე

# დედით ის ქართველი გახლავთ

**ანასტასია ვერტინსკაიამ, რომელსაც საბჭოური კინოს პირველ მზეთუნახავად მოიხსენიებენ, ამ დღეებში იუბილე აღნიშნა. ახლაც თურმე არაჩვეულებრივად გამოიყურება და მოდით, ნუ ვიტყვით, რამდენი წლისა შესრულდა...**

1968 წლის ზაფხულში გიორგი დანელია თბილისის მიდამოებში ფილმ „არ დაიდარდოს“ იღებდა. ამ სურათის პოპულარობაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ერთ დეტალს მაინც გავახმიანებ: დასავლეთშიც ისეთი წარმატებით სარგებლობდა, რომ 98 (!ძ ქვეყანამ შეიძინა.

გადაღებებზე ანასტასია რომ მერი ცინცაძის როლის შესასრულებლად ჩამოფრინდა (აქვე სათქმელად, დედის – ლიდია ფაღავას – ხაზით იგი ქართული თავადური საგვარეულოს წარმომადგენელიაძ, თქვენ წარმოიდგინეთ, პრობლემა წამოიჭრა: მოსკოვში მაშინ მოდაში შემოდიოდა მინიკაბები და თბილისის აეროპორტში ვერტინსკაია „დაუფარავ“ მინიში გამოჩნდა. დანელია შეშინდა: მოსკოვური მოდა მოდად, მაგრამ კავკასიაში ამას განუჭვრეტელი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მსახიობი ქალისთვის უეჭველად უნდა მიემაგრებინათ დაცვა! მთავარი როლის შემსრულებელს, 60 წლის სერგო ზაქარიაძეს (ფილმის მიხედვით მერის მამას ძმამდე არც ენახა ანასტასია. რეპეტიციაზე რომ ჩამოვიდა და მინიკაბიანს შეავლო თვალი, დერეფანში გამოიხმო დანელია და ეკითხება:



– ეს გოგო ვინ არის? რომელ საროსკიპოში გადააწყდი?

– ეს ნასტია ვერტინსკაიაა. ოფელიას თამაშობდა კოზინცევის „ჰამლეტში“. ალექსანდრე ვერტინსკის (ერთ დროს ძალიან ცნობილი რუსი მუსიკოსი, რომანსების ავტორი და შემსრულებელი – **თ. ე.**ძ ქალიშვილია.

– ნასტენკა ყოფილა! – ზაქარიაძე უცებ დატკბა. – პატარა რომ იყო, ხელებში მჭერია! ოღონდ ქუჩაში ასეთი სახით ნუ გამოუშვებ! და ნურც ვინმეს ეტყვით, ჩემს ქალიშვილს თუ თამაშობს!

მართლაც, მსახიობ ქალს ხუთი ვაჟკაცი იცავდა და ყოველი მათგანი გიორგი დანელიამ გააფრთხილა: ფეხებზე არ უჟუროთო!

„КП“-ს ჟურნალისტებმა დაურეკეს სახელგანსმენილ ქართველ კინორეჟისორს ამ ინფორმაციის შესამოწმებლად.

– სწორედ ასე იყო, – კვერი დაუკრა მან.

– ანასტასია კი იმიტომ მიიწვიეთ როლში, რომ დედამისი ეროვნებით ქართველია?

– არა, მე და რევაზ გაბრიაძეს ეს კიდევაც დაგვავიწყდა, სცენარს რომ ჩავუსხედით, პირველივე გვერდიდან ვიცოდით, რომ მერის ითამაშებს ანასტასია ვერტინსკაია: გმირი ქალი უნდა ყოფილიყო ლამაზი, არისტოკრატული. ნასტია სწორედ ასეთი გახლდათ. ვულოცავ და ყოველივე კარგს ვუსურებ!

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

◉ წკეპლიკა

# ბათუმი, ახალწლის ღამე,

## ანუ ერთ წვეთ კუპრზეც ვიტყვი

**უნდა ვთქვა, რომ ასეთი თბილისი – ფერადი, გაჩირაღდნებული, ილუმინაციებით დახუნძლული, დამშვენებული საახალწლო გირლიანდებით და სათამაშოებით – ადრე არ მახსოვს. ახლა ბათუმი? ავ თვალს არ ენახვებოდა. ვისაც ახალწლის ღამეს ამ ზღვისპირა ქალაქში წასვლის შნო ან საშუალება არ ჰქონდა, ტელევიზორებთან ვისხედით და ზღაპრულ კონცერტს ვუსმენდით.**

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მსოფლიო სახელის მქონე ქართველმა მომღერლებმა ევროპისა და ამერიკის საოპერო თეატრების სცენას რომ ამშვენებენ, საახალწლოდ სამშობლოში, საქართველოში მოიყარეს თავი და თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მსმენელი, ათასობით ადამიანი, ბათუმში, ევროპის მოედანზე რომ შეკრებილიყო. ნინო მაჩაიძე, ნინო სურგულაძე, სოფო ნიჟარაძე, ლადო ათანელი, უბერებელი ზურაბ სოტკილავა, მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი და სხვები, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ახლა ჩვენი საბალეტო დასი და ნინო ანანიაშვილი, ჩვენი სიმფონიური ორკესტრი და ვახტანგ კახიძე!

რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი!..

ერთ წვეთ კუპრზეც ვიტყვი. გახსოვთ, წვეთი თაფლი ომის დაწყების მიზეზი გახდა. კუპრს ასეთი საშინელი ცოდვა არ ჩაუდენია, უბრალოდ, ტელემაყურებლებს კონცერტი გაგვიფუჭა.

ტელეწამყვანებზე, ანუ კომენტატორებზე მოგახსენებთ. კონცერტის მონაწილეთა ხმები აშკარად ფერმკრთალდებოდა მათი გაუთავებელი საუბრების ფონზე. სასაუბრო თემა კი „ფართო და ყოვლისმომცველი“ იყო. მათს მიერ მოწოდებული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ ბათუმი ქალაქთა ქალაქია, რომ საახალწლო კონცერტისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ სასტუმროებში ყველა ადგილი კარგა ხნის წინათ დაიჯავშნა, და რომ ასობით მსმენელი მეზობელი ქვეყნებიდანაც კი ჩამოვიდა, და რომ სანაპიროზე ახალი ცათამბჯენები შენდება და ბათუმი კიდევ უფრო გალამაზდება და ა. შ.

გარკვეული აზრით, მომღერლები – ახლა ვინ გამოდიოდა ქართველ ვარსკვლავებთან ერთად? თვით ხოსე კარერასი და ჯილდო ლოკონსოლო! – ხელსაც კი უშლიდნენ კონცერტის წამყვან-კომენტატორებს იაფფასიანი, მოსაწყენი ამბების მოყოლით. და თუ მაინცდამაინც მომღერლები თავიანთი ძლიერი ხმებით დააპირებდნენ კონცერტის წამყვანების „დაჩაგვრას“, საქმეში ერეოდა ტექნიკა – ჩაუწევდნენ, მიანავლებდნენ „საჭირო კონდიციაზე“ დაჰყავდათ და ეს ღვთიური ხმები მათს ენერგიულ დიალოგში ინთქმებოდა. კონცერტის ერთ-ერთი წამყვანი კი მუსიკისმცოდნე იყო.

არადა, სჯობდა სიჩუმისმცოდნე ყოფილიყო.

**გურამ პავლიაშვილი,**
**გორიდან.**



დედა დალი, მამა ანზორი, მეუღლე მაკა პერტაია, შვილი მარიამი, დები ნათია, თეონა, ნანა, სიძეები შალვა ლეჟავა, დავით ნადირაძე, მძახლები ქეთევან, სოსო პერტაიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან თოთაძე

პანაშვიდი 5, 6 I, 16 სთ. მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქუჩა №35, III სადარბაზო, V სართული. გამოსვენება 7 I, 14 საათზე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ღირსების ორდენის კავალერის

კლარა (რუსუდანძ
გრიგოლიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ქეთევან რუხაიას და ბატონ ფრიდონ ინჯიას უახლოესი ნათესავის

თემურ ხიტირის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ირმა ხიტირს და რომა სტურუას მამისა და ბაბუის

თემურ ხიტირის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი“ – „ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ქეთევან (ლალიძ რუხაიას და ბატონ ფრიდონ ინჯიას უახლოესი ნათესავის

თემურ ხიტირის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი“ – „ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შპს „სისტემნეტის“ თანამშრომლის ირმა ხიტირის მამის და შპს „ახტელის“ თანამშრომლის რომან სტურუას ბაბუის

თემურ ხიტირის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◉ ახალი წელი – არაქართულად

# სანტა, მიირთვი პანტა და აუსვი აქედან!..

ჩვენი ბედნიერების ქვაკუთხედი რომ სანტა ყოფილა, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ახალი წლის ღამეს. ქართული „მრავალჟამიერის“ გუგუნში ვინმე ლაპლანდიელი უცხოელი სანტა-კლაუსი (ჩვენებურად პანტა-აუსვი!ძ ირმებით მოგვევლინა. წამლადაც კი ვერსად ნახავდით ქართულ თოვლის პაპას – თეთრი ნაბდითა და ხორაგით სავსე ხურჯინით... ქუჩაშიც, ეკრანზეც, სახლებშიც, სიზმრებშიც სანტა ზეობდა! ერთი სიტყვით, ამ ჩვენმა ევროპაგადაყლაპულმა პრეზიდენტმა საახალწლოდ გაგვალაპლანდიელა!..

ამბობენ, ამ ე. წ. სანტა-კლაუსს 3 მილიონი გადაუხადესო. ესეც ჩვენი ბედოვლათობა – ქართული თოვლის პაპის მაგივრად, მშობლიურ თბილისში ლაპლანდიელი სანტა გვმასპინძლობდა – მანქანაზე დამონტაჟებული ირმებიანი მარხილით დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ამაყად დასრიალებდა და ბავშვებს მისალოც ბარათებს ურიგებდა. ინგლისურად დაწერილ ბარათში სამი წინადადება ქართულადაც იკითხებოდა (საკვირველია, ქართული ენაც რომ გაახსენდათძ.

ამის შემდეგ ეს უცხოელი სანტა მთაწმინდის პარკშიც მიაბრძანეს.



ლაპლანდიიდან 31 დეკემბერს ჩამოსული სანტა მთაწმინდის პარკში 7 იანვრამდე დარჩება...

აი, ასე უცხოელმა ვინმე სანტამ დაგვიყენა ახალი – 2010 წელი. ჯერ იყო და, ბავშვებს ქართული ზღაპრის გმირები გადაავიწყეს, გააჰარიპოტერეს ჩვენმა „ვარდოსნებმა“, ახლა კი ამ ირმებიანი სანტა-პანტათი ათაყვანებენ. მართლაც, ბედოვლათები ვართ, სხვისი ხელის შემყურენი... თორემ „სანტას“ რა აკლდება ამ მოგზაურობით – კარგადაც უხდიან, აჭმევენ და ართობენ... სანტა, მიირთვი პანტა და აუსვი აქედან, – ამბობენ ენამოსწრებული ქართველები, – ჩვენ ქართული თოვლის პაპა და ქართული ახალი წელი გვინდა!..

**ნატა ნიგლაძე,**
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.





## გიტარაზე დასამღერებლად



# სევდიანი და მაინც იმედიანი საახალწლო

ახლავე შვიდივე ბრუნვაში სახმარო,
შენ, წელო ახალო, ვინ იტყვის, რა ხარო:
ავაზას ჯიშის ხარ თუ ვეფხვსა გავხარო,
ისეთი რა მოგაქვს ან ზეგა, ან ხვალო,
რას უნდა შემყარო, რა უნდა მახარო,
როგორი მოდიხარ, როგორი წახვალო...
ეხ, შენც რომ დამიხშო იმედის სამყარო,
ან შენც რომ მშობლიურ ჩემს მიწებს გამყარო,
თანაც მტარვალები ჩემზე ახარხარო –
თავში რა ვიხალო, თავი რას ვახალო?!

მობრძანდი, მოგელით, ო, წელო ახალო,
თბილისი, ყაზბეგი, თელავი, ბახმარო...
შენც არ გამაწბილო არა და აღარო,
ეგების ძეგლები შენ აღარ აყარო,
ვეფხვების ჯიშისავ, ვეფხვების მაყარო,
გახსენი ქარხანა, ფაბრიკა, მაღარო,
ეცადე, ახალი ცხოვრება ახარო,
და, რაც მთავარია, სისხლი არ დაღვარო!..

**თამაზ ილმელი**

## დღის კალენდარი

## 1 იანვარი

**31-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.**



ამოდის 07.28
ჩადის 16.43



ამოდის 01.33
ჩადის 12.21

ხსენება ათთა მოწამეთა კრეტელთა: თეოდულესი, სატორნინესი, ევპოროსი, გელასისა, ევნიკიანესი, ზოტიკესი, პომპისა, აღათოპუსესი, ვასილიდასი და ევარესტისა (VIIძ, ღირსი ნიფონტისა – კვიპრელ ეპისკოპოსისა (IVძ. ღირსი პავლესი – ნეოკესარიელ ეპისკოპოსისა (IVძ,

### დაიბადნენ:

**1519 – ეკატერინე მედიჩი,** საფრანგეთის მეფის ანრი II-ის მეუღლე. გარდაიცვალა 1589 წელს.

**1863 – მელიტონ ბალანჩივაძე,** ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი, გამოჩენილი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1937 წელს.

**1876 – კონრად ადენაუერი,** გერმანელი პოლიტიკოსი. გარდაიცვალა 1967 წელს.

**1921 – ფრიდრიხ დიურენმატი,** შვეიცარიელი მწერალი. გარდაიცვალა 1990 წელს.

**1938 – ხუან კარლოს I,** ესპანეთის მეფე.

**1948 – თემურ ბაბლუანი,** კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

**1968 – ლეილა მესხი,** ჩოგბურთელი.

### გარდაიცვალნენ:

**1933 – კალვინ ქულიჯი,** ამერიკის შეერთებული შტატების 30-ე პრეზიდენტი, რესპუბლიკელი.

**1970 – მაქს ბორნი,** გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1896** – გერმანელმა ფიზიკოსმა რენტგენმა მის მიერ აღმოჩენილი სხივების პირველი ჩვენება ჩაატარა.

**1937** – ჩატარდა სსრკ-ს მოსახლეობის აღწერა. შედეგები არ გამოქვეყნებულა.

**მელიანიუსი**

## ყველაფერი ყველაფერზე

### „ო, წმინდა უბრალოებავ!“

ეს, შემდეგში საყოველთაოდ გახმაურებული სიტყვები მიაწერეს ჩეხ რეფორმატორსა და ეროვნული კულტურისთვის მებრძოლ იან ჰუსს (1369-1415ძ. თითქოს ჰუსმა წარმოთქვა ეს სიტყვები, როდესაც დასაწვავ კოცონზე მდგარმა შენიშნა დედაბერი (სხვა ვერსიით, ბერიკაცი), რომელსაც, რელიგიური სიბრმავით შეპყრობილს, მიჰქონდა ნაფოტები, რათა კოცონისთვის შეეკეთებინა.

### „შვიდწლოვანი მაწანწალა“

62 სანტიმეტრის სიგრძეს მიაღწია ცხვრის ბეწვმა, რომელიც შვიდი წლის მანძილზე გაპარსვას რაღაც სასწაულით გადაურჩა. ცხვრის ბეწვის გამოცდილი მპარსავები თითო ცხოველს, საშუალოდ, 4 კილოგრამ ბეწვს პარსავენ, სამხრეთ ავსტრალიის შტატის ფერმერმა რობერტ რეინოლდსმა კი თავის საძოვრებზე მიგნებულ რეკორდსმენს 29 კილოგრამი ბეწვი გაპარსა! გამოცდილი ფერმერი გაკვირვებას არის იმის გამოც, თუ საერთოდ როგორ გაძლო ამდენ ხანს ვაცმა, რომელსაც „შვიდწლოვანი მაწანწალა“ შეარქვეს, გაპარსვის გარეშე. ჩვეულებრივ გაუპარსავი ცხვრები 4 წელზე მეტს არ ცოცხლობენ, ვინაიდან ამხელა დატვირთვას მათი გული ვერ იტანს.





მოვუსმინოთ ისტორიკოს პლატონ იოსელიანს, რომელიც აღწერს საინტერესო ამბავს წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“: „მოახსენეს მეფესა ახლად მოყვანილთა ინდოეთისა ქათამთათვის თფილისს, უცხოდ სადამე სანახავისა. ინება, რათა აჩვენონ მას. სწრაფლ აცნობეს რუსისა სალდათსა, ქათამთა ამათ რუსეთით მომყვანისა და მოჰგვარეს მეფესა 2 მამალი და 4 დედალი. მუნ მხლებელთა კაცთა დაუსტვინეს და ქათამთა გაშალეს ფრთები, დაუშვეს ბოყვნი, იწყეს ხმაუროზა თვისებრი. განცვიფრებით მსინჯველსა მათსა მეფეს, მოახსენეს ღირსება და გემოვნება ინდოეთისა ქათმისა ხორცისა. „ნუუმე სჭამენ ამათსა ხორცსა“ – იკითხა მეფემ, – „დიახ, მეფევ! დიდსა ხმარებაშია რუსეთში ხორცი ინდოეთისა ქათმისა“. „ღმერთმან დამიფაროს მაგათის ჭამისგან, – ბრძანა მეფემან და მაშინვე გადაიწერა პირჯვარი“.

**მოამზადა
გივი
გამრეკელმა**

### „ინდაური? როგორი საჭმელია“

ახლა ინდაური საქართველოში ძალიან ბევრია და ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ იგი ჩვენში მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულიდან გავრცელდა.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6929 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4383 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7340 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6084 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4799 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1080 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1201 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1327 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4801 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +1 – +4 |
| ქუთაისი. | +4 – +5 |
| ბათუმი. | +5 – +6 |
| ზუგდიდი. | +4 – +6 |
| თელავი. | +1 – +3 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– თქვენი აზრით, რა მსგავსებაა მამაკაცსა და დისტანციურ პულტს შორის? – ეკითხებიან ქალს.

– ორივეთი სარგებლობა ძალიან მარტივია და ორივე ტელევიზორთან გდია.

* * *

სვანმა ტყუპისცალი მოკლა. როდესაც სასამართლოზე მკვლელობის მიზეზი ჰკითხეს, თავი იმართლა, თავის მოკვლა მინდოდა და შემეშალაო.

* * *

ამერიკელი ტურისტი იერუსალიმში ჩავიდა. გოდების კედლის ნახვა უნდა, მაგრამ მისი სახელი დაავიწყდა და ტაქსისტს ეუბნება:



– იმ ადგილას მიმიყვანეთ, სადაც თქვენ, ებრაელები, მოთქვამთ, ყვირით და კედელს თავს ურტყამთ.

ტაქსისტმა ამერიკელი საგადასახადო ინსპექციის შენობასთან მიიყვანა.

* * *

ბრეჟნევი პირად ექიმს ეკითხება:

– ხვალისთვის საფრანგეთის ელჩის მიღება დამინიშნეს. იგი ჭამამდე მივიღო თუ ჭამის შემდეგ?

* * *

სულელებს უმართლებთ, მაგრამ თავიანთი სიბრიყვის გამო ამას ვერ ხვდებიან.

* * *

ჰომოსექსუალისტთა უფლებებისადმი მიძღვნილი დისკუსიის დროს კალიფორნიის გუბერნატორმა შვარცენეგერმა განაცხადა, რომ იგი სულაც არ არის ჰომოსექსუალური ქორწინების წინააღმდეგი, მაგრამ, მისი აზრით, ჰომოსექსუალური ქორწინება უნდა შედგეს კაცსა და ქალს შორის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.